1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

აგვისტო № 8 АВГУСТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 6/XI-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,75.

შეკვეთა № 940 უე 15827 ტირაჟი 6000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 25 ივნისის ბრძანება № 392

### ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მ. ვ. ლომონოსოვის დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 4768 მოსწავლემ; მათ შორის 2813 სოფლის სკოლებიდან; სარაიონო (საქალაქო) ტურში — 2415 მოსწავლემ, მათ შორის 1257-მა სოფლის სკოლებიდან; ზონალურ ტურში — 1631 მოსწავლემ, მათ შორის 712-მა სოფლის სკოლებიდან, ხოლო რესპუბლიკურ, დასკვნით ტურში 212 მოსწავლემ, მათ შორის 113-მა სოფლის სკოლებიდან.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე ფიზიკის ამოცანების ამოხსნის კარგი ცოდნა გამოავლინეს ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, თბილისის 77-ე, 42-ე, ქ. ბათუმის და რესპუბლიკის სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით 71 მოსწავლემ I, II, III ხარისხის სიგელები დაიმსახურა.

გარკვეული წარმატებით აღინიშნა საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა მოსწავლეთა მე-19 საკავშირო ოლიმპიადაზე. გუნდის ერთმა წევრმა II ხარისხის დიპლომი და სპეციალური პრიზები დაიმსახურა.

ამასთან ერთად, ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს საოლიმპიადო ხასიათის გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას. მასწავლებლები არ ზრუნავენ საგნით დაინტერესებული ბავშვების გამოვლენისა და მათთან სათანადო მუშაობის წარმართვისათვის. ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული ნორჩ ფიზიკოსთა წრეების მუშაობაზე. ნაკლებად ზრუნავენ საგნით დაინტერესებული მოსწავლეების თეორიული და ექსპერიმენტული ცოდნის ამაღლებისა და ამოცანების ამოხსნის უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის, სკოლებში მიზნობრივად არ არის გამოყენებული ფაკულტატიური კურსი საგნის გაღრმავებულად შესწავლისათვის.

ზონალური და რესპუბლიკური წერითი ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს კომბინირებუ-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, გრაფიკული, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნის ჩვევებს, უჭირს ამოცანის ზოგადი სახით ამოხსნა, ასე მაგალითად: რესპუბლიკურ ტურზე. გრაფიკული სახის ამოცანა მხოლოდ 13-მა მოსწავლემ ამოხსნა.

ოლიმპიადის მზადებისა და ჩატარების საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ სასკოლო და რაიონული ტურების ჩამტარებელი ცალკეული საორგანიზაციო კომიტეტები (ახალქალაქის, ლაგოდეხის, ლენტეხის, გარდაბნის, წალენჯიხის, წალკის, წყალტუბოს, თერჯოლის, ახმეტის, ზესტაფონის, კასპის რაიონები). მათ უყურადღებობა გამოიჩინეს ოლიმპიადის ჩატარების საქმისადმი, არ გაატარეს საჭირო მოსამზადებელი მუშაობა, რის შედეგადაც აღნიშნული რაიონების არც ერთ მოსწავლეს მონაწილეობა არ მიუღია ფიზიკის ოლიმპიადის რესპუბლიკურ დასკვნით ტურში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებების მოპოვებისათვის დაჯილდოვდეს I ხარისხის სიგელით 4 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით 7 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით— 60 მოსწავლე.

2. 1985—1986 სასწავლო წელს მ. ვ. ლომონოსოვის დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფიზიკოსთა 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო) 1986 წლის იანვარში, ზონალური — 23 თებერვალს, ხოლო რესპუბლიკური დასკვნითი ტური 28-29 მარტს. რესპუბლიკური დასკვნითი ტური ჩატარდეს ქ. თბილისში.

3. ნორჩ ფიზიკოსთა 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ცინცაძე ნ. ლ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

კიკაბიძე ლ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

ჯაში ლ. რ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

დილდაროვა ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომაშვილი გ. ი. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

ხაზარაძე ო. ს. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

სურამლიშვილი გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

კიკნაძე გ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

ვადაჭკორია კ. — ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი

მიხელაშვილი თ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ცხაკაია დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

4. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 17 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკის ოლიმპიადის დებულებით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ ფიზიკის 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ფიზიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) მიაღწიონ ფიზიკის ოლიმპიადებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას, ამ მიზნით ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე მუშაობას, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ფიზიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას;

გ) აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ ყველა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე და უზრუნველყონ მისი შესრულება.

6. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა

შეარჩიონ ფიზიკით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, მოსწავლეებში მტკიცედ დანერგონ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები და ფიზიკის ოლიმპიადები მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის.

7. ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადოს მადლობა აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს და ქალაქ ბათუმის განათლების განყოფილებას (ამხ. ზ. კომახიძე), წლების მანძილზე როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის გამოეცხადოს მადლობა ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელს ჯ. კიკნაძეს, აგრეთვე რესპუბლიკური ნაკრების ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს თ. მიხელაშვილს.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1986 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ ფიზიკოსთა 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ასიგნებანი.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1986 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდი.

10. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ და მისი დამატების „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ რედაქციებმა (ამხ. ამხ.: ნ. შველიძე, რ. ძერია და ა. ბენდუქიძე) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

11. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 25 ივნისის ბრძანება № 393

## სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მზადების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, დარგის ყველა მუშაკმა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმის გადაწყვეტილება „სკკპ მორიგი 27-ე ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ“.

პლენუმმა კომუნისტებს, ყველა მშრომელს მოუწოდა ყოველმხრივ გააანალიზონ და რეალურად შეაფასონ ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები, განსაზღვრონ შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

სახალხო განათლების ორგანოების წინაშე რთული და მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული, რამეთუ ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების გზაზე.

სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის მზადების პერიოდი რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთათვის უნდა იქცეს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მათი მომზადების მიზნით გაწეული მუშაობის სრულყოფის ახალ ეტაპად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმის მასალების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. გ. ს. გორბაჩოვის მოხსენების ფართო პროპაგანდა და საფუძვლიანი შესწავლა;

1. 2. ფართო მუშაობა გაშალონ სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, მოსწავლეთა შრომითი პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის ნიშნით;

1. 3. გააძლიერონ მომთხოვნელობა და კონტროლი სახალხო განათლების დაწესებულებების საქმიანობაზე, წარმართონ მათი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. მიაღწიონ ყოველი ხელმძღვანელი მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, განავითარონ და წაახალისონ მათ მხრივ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პირადი ინიციატივა;

1. 4. ყოველმხრივ განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი დარგის ყველა რგოლში, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ ყველას, ვინც სახელს უტეხს სკოლას, კოლექტივს, საზოგადოებას. სახალხო განათლების მუშაკისათვის, მოსწავლისათვის შეუფერებელი ყოველი ფაქტი გახადონ უმკაცრესი საზოგადოებრივი მსჯელობისა და გაკიცხვის საგანი;

1. 5. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე მდგარი სადღეისო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში უფრო შემოქმედებითად ჩააბან დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები, მშობელთა აქტივი, ფართო საზოგადოებრიობა.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა და ადგილობრივმა ინსტიტუტებმა პედაგოგიურ კადრებთან მუშაობის გეგმაში გაითვალისწინონ სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის მზადების საკითხები.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის მეთოდურმა სამსახურებმა სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების დასახმარებლად შეიმუშაონ სათანადო მეთოდიკური რეკომენდაციები და სამახსოვროები.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“, ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ ფართოდ და ყოველმხრივ გააშუქონ სკოლების, სახალხო განათლების სისტემის სხვა დაწესებულებების მზადების მიმდინარეობა სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის.

5. დამტკიცდეს სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მზადების გეგმა (დანართი 1).

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ა. ზარქუა).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

დანართი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1985 წლის 24 ივნისს

### სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მზადების ღონისძიებათა გ ე გ მ ა

1. რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის ძირითადი მონაცემების შესახებ სტატისტიკური კრებულის „ყრილობიდან—ყრილობამდე“ — მომზადება და გამოცემა.

სკოლების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო
1985 წლის IV კვარტალი

2. სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებს შორის სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაშლა XI ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების მიზნით.

სკოლების სამმართველო, 1985 წელი

3. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სექტემბერი, 1985 წ. —იანვარი, 1986 წ.

4. რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებელთათვის ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

სკოლების სამმართველო, სასკოლო მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ოქტომბერი, 1985 წ.

5. რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის სრულყოფის საკი-

თხებზე, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორ-
მის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შუქზე.

სკოლების სამმართველო, სასკოლო მუშაობის რეს-
პუბლიკური მეთოდური კაბინეტი, მასწავლებელთა
დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, ი. გო-
გებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სა-
მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის მას-
წავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ქ. ზუგ-
დიდის და ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლე-
ბის განყოფილებები

ოქტომბერი-ნოემბერი, 1985 წ.

6. 1985 წლის 1 სექტემბრიდან საშუალო სკოლებში ინფორმატი-
კისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების კურსის შემოღებისა-
თვის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის
პროცესში მოსწავლეთა შორის კომპიუტერული განათლების დანერ-
გვისათვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და განხორციე-
ლება.

სკოლების სამმართველო, კადრების სამმართველო,
აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, მასწავ-
ლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუ-
ტი, მთავარი გამოთვლითი ცენტრი, პედაგოგიკურ
მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

III—IV კვარტალი, 1985 წ.

7. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიუ-
რი და რუსული ენების სწავლების შემდგომი სრულყოფის შესახებ სა-
ქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დად-
გენილების, ამ საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის გადაწყვეტილების განუხრელად განხორციელების უზრუნ-
ველყოფა.

სკოლების სამმართველო, სასკოლო მუშაობის რეს-
პუბლიკური მეთოდური კაბინეტი

სისტემატურად

8. დათვალიერების დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს —
საშუალო განათლება“ გაგრძელება, წლის ბოლოს შედეგების შეჯა-
მება.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართვე-
ლო

ნოემბერი, 1985 წ.

9. ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში მოს-
წავლეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშა-
ობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგი-
ლობრივი ორგანოები
წლის განმავლობაში

10. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ შრომითი სწავლების გაკვეთილებზე და საწარმოო შრომის პროცესში დამზადებულ ნაკეთობათა გამოფენა-გაყიდვის ორგანიზაცია

სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
IV კვარტალი, 1985 წ.

11. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური, ქ. ქ. თბილისის, ზუგდიდის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სამუშაო გეგმებსა და პროგრამებში სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კპ 27-ე ყრილობისათვის მზადების თემატიკის შესწავლა

კადრების სამმართველო
იანვარი, 1985 წ.

12. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება თემაზე: „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კადრების ატესციის, მომზადებისა და გადამზადების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ამოცანები“.

კადრების სამმართველო
იანვარი, 1986 წ.

13. სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბაზაზე.

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
IV კვარტალი, 1985 წ.

14. რესპუბლიკური კონკურსის „ბავშვებს — საუკეთესო სათამაშოები“ მოწყობა.

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო
დეკემბერი, 1985 წ.

15. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შრომითი სწავლების სახელოსნოების დათვალიერების ორგანიზება.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო
სექტემბერი-ოქტომბერი, 1985 წ.

16. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვებთან და მოზარდებთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის

ფართოდ გაშლა. ამ საქმიანობაში თანრიგოსანი მოსწავლეების, სპორტ-სმენების, სპორტის ვეტერანებისა და ენთუზიასტების აქტიურად ჩაბმა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველო
წლის განმავლობაში

17. რესპუბლიკური მეთოდური კონფერენციის ჩატარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილისა და სასკოლო ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სრულყოფის საკითხებზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო
დეკემბერი, 1985 წ.

18. ნორჩ ფოტომოყვარულთა ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
სექტემბერი, 1985 წ.

19. მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარება სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
ივნისი-ივლისი, 1985 წ.

20. სახვით ხელოვნებაში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
ნოემბერი, 1985 წ.

21. „ცისფერი საგუშაგოების“ 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
ოქტომბერი-ნოემბერი, 1985 წ.

22. კონფერენციების, დისპუტების, დათვალიერებების, კონკურსების, ოლიმპიადების, შეხვედრების, თემატური საღამოების, ექსკურსიების, ტურისტული სვლების და სხვა მასობრივი ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
მთელი წინასაყრილობო პერიოდის განმავლობაში

23. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელთა სასწავლო-მეთოდური შეკრების მოწყობა.

დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო
აგვისტო, 1985 წ.

24. ზაფხულის შრომითი სემესტრის გამარჯვებულთა შეკრება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად
ოქტომბერი, 1985 წ.

25. სამართლებრივი ცოდნის საკითხებზე მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო იუსტიციის სამინისტროსთან ერთად
იანვარი, 1986 წ.

26. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოს გამოცემა სახვით ხელოვნებაში.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი
VI კვარტალი, 1985 წ.

27. სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, შრომითს სწავლებასა და აღზრდაში 1985—1990 წლებში გამოსაცემი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის გეგმის შედგენა.

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო და გამომცემლობა „განათლება“
ივლისი, 1985 წ.

28. ექვსწლიანთათვის სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მეთოდური ლიტერატურის, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების 1985—1990 წლებში გამოცემის გეგმის შემუშავება.

სახელმძღვანელოების სამმართველო, სკოლების სამმართველო
ნოემბერი, 1985 წ.

29. ქართული და აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასებისათვის რუსულ ენაში ტიპობრივი სასწავლო-მეთოდური კომპლექტების შემუშავებისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების უზრუნველყოფა.

სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ნოემბერი, 1985 წ.

30. დაწყებითი კლასების ქართული და რუსული ენების, მათემატიკის საცდელი სახელმძღვანელოების შესაქმნელად მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზაცია.

სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად
დეკემბერი, 1985 წ.

31. აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემებზე მეთოდიკური რეკომენდაციებისა და მითითებების გამოცემა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
IV კვარტალი, 1985 წ.

32. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მასწავლებელთა კონფერენციების ჩატარება.

განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
აგვისტო, 1985 წ., იანვარი, 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 15 ივლისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასებში მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ

კოლეგიამ განიხილა სკოლების სამმართველოს ცნობა „თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასებში მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ“ და გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო:

1. 1. გულდასმით გაეცნონ სკოლების სამმართველოს ცნობას „თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასებში მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ“, უზრუნველყონ მისი განხილვა მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების პლენარულ და სექციურ სხდომებზე;

1. 2. დროულად დაიყვანონ თითოეულ სკოლამდე განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული წესები „საქართველოს სსრ ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ“, დააწესონ კონტროლი მათ განუხრელად შესრულებაზე;

1. 3. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ საქმეში სულ უფრო აქტიურად გამოიყენონ საბაზო საწარმოთა დახმარება;

1. 4. მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციაზე ფართოდ გააშუქონ სკოლის რეფორმის განხორციელების პირველი წლის შედეგები, ღრმა ანალიზი გაუკეთონ სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე დასმულ პრობლემებს, დასახონ მათი გადაწყვეტის ეფექტიანი გზები და საშუალებები;

1. 5. განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა ექვსწლიან ბავშვთა სწავლების სათანადო მატერიალური ბაზის შექმნისათვის, განსაკუთრებით მცირეკომპლექტიან სკოლებში, იზრუნონ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის, მათი სასწავლო-მატერიალური ბაზების გაუმჯობესებისათვის.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი), სახელმძღვანელოების სამმართველოსა (ამხ. ნ. ღლონტი) და ი. გოგებაშვილის სახე-

ლობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ-თან ერთად (ამხ. შ. ამონაშვილი), სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნ-ველყოს თერთმეტწლიანი სწავლების 1-ლი და მე-2 კლასები სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავებული სრულყოფილი სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური მითი-თებებით და რეკომენდაციებით, მიაღწიოს იმას, რომ უახლოეს ხანებში მომზადდეს თერთმეტწლიანი სწავლების დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) პროგრამები, როგორც ერთიანი სისტემა ყველა საგანში. შეი-ქმნას სასწავლო-მეთოდური კომპლექტები დაწყებითი კლასების სას-წავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სა-მეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი):

3. 1. უზრუნველყოს დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის მიმდინარე მეცნიერულ-პედაგოგიურ და მეთოდურ მასალებზე მუშაობის კოორდინაცია;

3. 2. თერთმეტწლიანი სწავლების 1-ლი კლასისათვის შეიმუშაოს გაკვეთილის სპეციალური ფორმა, რომელშიც გათვალისწინებულ იქ-ნება ექვსწლიანთა ყველა ძირითადი ასაკობრივი თავისებურება.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე), სკოლის რეფორმის მოთხოვნათა ეტაპობრივად განხორციელების შესაბამისად, უზრუნველ-ყოს დაწყებითი და მომდევნო კლასები მაღალკვალიფიციური სპე-ციალისტი პედაგოგებით. ამ მიზნით, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ბაზაზე, განაგრძოს მე-2 კლასის მასწავლებელთა და დაწყებითი კლასების მეთოდისტთა გადამზადება იმ ანგარიშით, რომ კურსებმა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოიცვას ამ კატეგო-რიის სპეციალისტთა მთელი კონტინგენტი.

5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს თერთმეტწლიანი სწავლების 1-ლი და მე-2 კლასები სათანადო ინვენტარ-მოწყობილობით, საკანცელარიო და სასწავლო დანიშნულების ყველა საჭირო საგნებით.

6. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. რ. ძერია) მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციებისათვის მზადების პე-რიოდში სისტემატურად გამოაქვეყნონ მეთოდური ხასიათის მასალები თერთმეტწლიანი სწავლების 1-ლი და მე-2 კლასების მასწავლებელთა დასახმარებლად.

7. აღნიშნული გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს ცნობა „თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლა-სებში მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ“ დაიბეჭდოს სა-მინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, გამრავლდეს და დაეგზავნოს ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტ-როებს, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონე-

ბის სახალხო განათლების განყოფილებებს, სამინისტროს რესპუბლი-
კური დაქვემდებარების დაწესებულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

## ცნობა

### თერთმეტწლიანი სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასებში მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 22 ივნისის № 419 დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ“ შესაბამისად საქართველოში 1984—1985 სასწავლო წელს განხორციელდა თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა და 6 წლის ბავშვთა 1-ლ კლასში ჩარიცხვა.

F 5300

აღნიშნულ ღონისძიებას წინ უძღოდა დიდი მუშაობა ექვსწლიანი ბავშვების სწავლების შემოღებისათვის: ჯერ კიდევ 1968 წელს რესპუბლიკაში განხორციელდა ექვსწლიან ბავშვთა მასობრივი სწავლება. მას შემდეგ ამ ასაკის მოსწავლეთა სკოლაში მიღება სულ უფრო ვრცელდებოდა, 1983—1984 სასწავლო წლისათვის საქართველოს სკოლებში ექვსწლიან ბავშვთა 78 პროცენტი სწავლობდა. მზადდებოდა პროგრამები, სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაში, მათემატიკაში, რუსულ ენაში, მიმდინარეობდა მასწავლებელთა გადამზადება, პროპაგანდა მშობლებთან და მთელ საზოგადოებრიობასთან ექვსწლიან ბავშვთა სწავლების სასარგებლოდ. ყოველივე ამან შეამზადა რესპუბლიკა თერთმეტწლიანი სკოლის ახალ სტრუქტურაზე გადასასვლელად.

1984—1985 სასწავლო წელი 10-დან 11-წლიან სწავლებაზე გადასვლის წელი გახდა. ამ პერიოდში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ურთიერთპარალელურად ფუნქციონირებდა ორი 1-ლი კლასი, შვიდწლიანებისა და ექვსწლიანებისა. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად 80 ათასამდე შვიდწლიან პირველკლასელს დაემატა 67 ათასი ექვსწლიანი, რამაც პირველკლასელ მოსწავლეთა კონტინგენტი 147 ათასამდე გაზარდა.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდამ შესაბამისად სასწავლო-მატერიალური ბაზების გაფართოება მოითხოვა. ბევრგან ახალი სასკოლო შენობები აიგო, სადაც ყველაზე ფართო და ნათელი ოთახები პირველკლასელებს დაეთმო, რიგ შემთხვევაში კი, სადაც ეს აუცილებელი იყო, დროებით უარი ვთქვით ერთცვლიან სწავლებაზე. გარდა ამისა, რესპუბლიკის 66 სკოლამდელ დაწესებულებაშიც გაიხსნა ექვსწლიანთა 1-ლი კლასები.

ექვსწლიანთა დამატებითი კონტინგენტისა და სასწავლო-მატერიალური ბაზების გაზრდასთან დაკავშირებით სკოლებს დამატებით გამოეყო 368 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარ-მოწყობილობა, თვალსაჩინოება და დიდაქტიკური მასალები.

თერთმეტწლიანი სწავლების 1-ლი კლასების მოსწავლეთათვის, სკოლის რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შეიქმნა სრულიად ახალი ან გადამუშავდა სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებიც თავისი შინაარსით და მეთოდიკური აპარატურით არსებითად განსხვავდებიან ადრე მოქმედი მოსამზადებელი კლასების პროგრამებისა და სახელმძღვანელოებისაგან.

— მომზადდა თერთმეტწლიანი საშუალო სკოლის 1-ლი კლასის სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სასწავლო დრო კვირაში 22 საათი;

— შემუშავდა პროგრამები ცალკეულ სასწავლო საგნებში;

— მომზადდა მეთოდიკური რეკომენდაციები 1-ლი კლასის მასწავლებელთათვის ყველა სასწავლო საგანში;

— გამოიცა „ქართული ენის გაკვეთილები პირველი კლასისათვის“ — პროფ. ვ. რამიშვილის რედაქციით;

— გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე დაიბეჭდა მეთოდური წერილები ცალკეულ საგანთა სწავლების თაობაზე;

— დამუშავდა ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში მუშაობის საჭირო რეკომენდაციათა სისტემა, რომლებიც ინსტრუქციით — მეთოდური ბარათების სახით გამოსცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, მათ შორის მცირეკომპლექტიანი სკოლის საკითხებზედაც;

— ორგანიზაცია გაუკეთდა სახელმძღვანელოებით რესპუბლიკის სკოლების მომარაგების საქმეს, კერძოდ, ექვსწლიანთა 1-ლი კლასების გახსნასთან დაკავშირებით გაიზარდა საერთოდ 1-ლი კლასების სახელმძღვანელოების ტირაჟი 35 ათასით და მთლიანად 90 ათასი შეადგინა (მათს გამოცემაზე დაიხარჯა 63000 მანეთი).

ექვსწლიანთა 1-ლი კლასის მასწავლებელთათვის მოეწყო ტელეგადაცემები ციკლით „მასწავლებლის საათი“.

— ჩატარდა მოკლევადიანი კურსები დაწყებითი კლასების მეთოდისტებისათვის, კურსები 1-ლი კლასების მასწავლებელთათვის ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების მიხედვით. სულ გადამზადდა 3 ათასზე მეტი მასწავლებელი და 140 მეთოდისტი.

— მომზადდა და რაიონებს დაეგზავნა გაკვეთილების ცხრილის ნიმუშები მცირეკომპლექტიანი სკოლისათვის ყველა მოსალოდნელი ვარიანტის გათვალისწინებით.

ამ მასალებში მასწავლებელთა ყურადღება მიექცა: ექვსწლიან ბავშვთა ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, მათთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სპეციფიკას, მიღების წესებს, სასკოლო რეჟიმს, 35 წუთიანი გაკვეთილის სტრუქტურას, სწავლების განმავითარებელი ტენდენციის გაძლიერებას, ექვსწლიან ბავშვთა ზნეობრივ-ეთიკური ნორმების აღზრდას, ცალკეული საგნების სწავლების კალენდარულ დაგეგმვას, მშობლებთან მუშაობის შინაარსს, მცირეკომპლექტიანი სკოლების პირობებში ექვსწლიანთა სწავლების სპეციფიკას და ა. შ.

1-ლ კლასში განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად დაისახა გააზრებული და სწრაფი კითხვის, წერისა და წერითი მეტყველების ჩვევების გამომუშავება, მეტყველების განვითარება, ათეულის ფარგალში სწრაფი თვლა-ანგარიშის ჩვევების ჩამოყალიბება, რუსული პირველდაწყებითი ზეპირი მეტყველების ჩვევების განვითარება, ელემენტარული შრომითი ჩვევების გამომუშავება, საერთოდ, სწავლებისადმი დადებითი დამოკიდებულების აღზრდა. ამრიგად, 1-ლი კლასის სწავლების შინაარსში გაძლიერდა რეფორმის შესაბამისი მოთხოვნები.

1984—1985 სასწავლო წელს 1-ლ კლასები მუშაობდნენ შემდეგი პროგრამებით და სახელმძღვანელოებით:

1. ქართული ენა (პროგრამა); „დედაენა" (ანბანი და საკითხავი წიგნი); „ქართული ენის გაკვეთილები 1-ლ კლასში" — ავტორი ვ. რამიშვილი; 2. მათემატიკა (პროგრამა), მათემატიკა (სახელმძღვანელო 1-ლი კლასებისათვის)—ავტორები: შ. ბაკურაძე, მ. იაშვილი; 3. რუსული ენა (პროგრამა), ავტორები: ვ. ნიორაძე, ა. დარსაველიძე, ე. გაბუნია და სხვები, მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის რუსული ენის სწავლებისათვის, სხვა საგნებში (შრომა, მუსიკა, ხატვა, ფიზიკური კულტურა) მასწავლებლები ხელმძღვანელობენ პროგრამებით და მეთოდიკური რეკომენდაციებით. გამოიცა სასწავლო მასალა და მეთოდიკური რეკომენდაციები გარესამყაროს გაცნობის შესახებ.

თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გადამზადნენ მასწავლებლები მოკლევადიან კურსებზე.

აღნიშნულ კურსებზე მასწავლებლებს გააცნეს 1-ლ კლასებთან მუშაობის სასწავლო და მეთოდიკური ლიტერატურა, ზოგადსაგანმანათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლო სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მიხედვით ექვსწლიანთა სწავლა-აღზრდის პროცესის ორგანიზებისა და გაუმჯობესების გზები და მეთოდები: სასწავლო მასალის სახალისო ფორმებში მიწოდება, თამაშობითი სწავლების განხორციელება, სწავლებასა და აღზრდაში განმავითარებელი ტენდენციების გაძლიერება, ცოდნის შეძენის პროცესში ემოციების ჩართვა და ა. შ.

1-ლ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდებოდა მშობელთა სურვილის გათვალისწინებით, დისპანსერული გამოკვლევისა და მედიკო-პედაგოგიური კომისიების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციით 1-ლ კლასში ჩაირიცხნენ სექტემბრის ჩათვლით დაბადებული 6 წლის ასაკის ბავშვები, იყო შემთხვევები, როდესაც ეს მოთხოვნა დაირღვა და სკოლებში მიიღეს ბავშვები, რომლებსაც 6 წლამდე აკლდათ 5-6 თვე. ამის გამო განათლების სამინისტრომ მიიღო საგანგებო ზომები, 1-ლ კლასში მეცადინეობა მიმდინარეობდა პირველ ცვლაში. გაკვეთილების ხანგრძლივობა შეადგენდა 35 წუთს, შესვენებები 10-15 წუთს, მეორე გაკვეთილის შემდეგ დიდი დასვენება — 20 წუთი, ყველა სკოლაში დაცული იყო მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა (მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 30-ს), რეგულარულად ტარდებოდა დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, გაკვეთილებზე კი ფიზკულტურული პაუზები, დიდ დასვენებაზე — მოძრავი თამაშობანი. 1-ლი კლასის მოსწავლეთა მეცადინეობისათვის შეირჩა და გამოიყო ფართო, ნათელი საკლასო ოთახები, შეიქმნა ჰაერის რეგულარულად განიავების შესაძლებლობა. ძირითადად უზრუნველყოფილ იქნა აღნიშნული კლასები 6 წლის ასაკის შესაფერისი დგამ-ავეჯით, მერხებით, სპეციალური დახაზულობის დაფებით, თვალსაჩინოებითა და დიდაქტიკური მასალებით.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში სათანადო ზომებია მიღებული 6 წლის ასაკის ბავშვთა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში მოსაწყობად, სადაც შექმნილია ცხელი კერძებით კვების, ძილის, გართობისა და დასვენების პირობები. ექვსწლიანი ბავშვების სწავლებისათვის კარგი პირობებია შექმნილი სკოლამდელ დაწესებულებებშიც.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, დააწესა ექვსწლიან ბავშვებზე სამედიცინო კონტროლი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სპეციალურად შეისწავლა თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლი კლასის მოსწავლეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობა. დადგინდა, რომ გამოკვლეულ ბავშვთა უმეტესი ნაწილის ფიზიკური განვითარება დამაკმაყოფილებელია.

შესწავლილ იქნა აგრეთვე ექვსწლიან ბავშვთა განვითარებულობის დონე. აღმოჩნდა, რომ ამ ასაკის მოსწავლეთა დიდი ნაწილი დაე-

უფლი პროგრამულ მასალას, წერა-კითხვას, სიტყვების მარცვლებად დაყოფას, სიუჟეტური სურათების მიხედვით მარტივი მოთხრობების შედგენას, მასწავლებლის შეკითხვაზე პასუხის გაცემას. ასევე ძირითადად, დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა კალიგრაფია, დაცულია ასოთა დაწერილობა, სიმრგვალე, სიმეტრიულობა, ასოთა და სიტყვათა შორის სათანადო შუალედები, ნაწერებში შეცდომებს იშვიათად შეხვდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად აითვისეს მათემატიკის პროგრამით გათვალისწინებული მასალა, იციან რიცხვების კრება-გამოკლება 10-ის ფარგალში, ერთმოქმედიანი ამოცანების ამოხსნა, უმარტივესი სიდიდეები და მათი გაზომვა.

ექვსწლიანი პირველკლასელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასკოლო ღონისძიებებში, ოქტომბრელთა რგოლების საქმიანობაში.

რესპუბლიკის ყველა პირველკლასელი დადებითი დახასიათებით გადავიდა მეორე კლასში.

მოვიტანთ ექვსწლიანთა განვითარებულობის დონის შესწავლის შედეგებს ორი რაიონის მაგალითზე სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს.

წლის დასაწყისში (სექტემბერი)

ქ. თბილისის

| | ლენინის რაიონი | თელავის რაიონი |
|---|---|---|
| კითხულობენ ჩათვლით ან მარცვლებით, იცნობენ ასოებს | 38% | 19% |
| წერენ საკუთარ სახელს, ცალკეულ ასოებს | 40,9% | 10,4% |
| შეუძლიათ თვლა ან მარტივი ანგარიში 10-ის ფარგალში | 77% | 69% |
| იციან რუსულ ენაზე ლაპარაკი | 4% | 0,7% |

წლის ბოლოს

ქ. თბილისის

| | ლენინის რაიონი | თელავის რაიონი |
|---|---|---|
| გაბმულად კითხულობენ | 88% | 81% |
| კითხულობენ მარცვლებით | 9% | 15% |
| უჭირთ კითხვა ან ვერ კითხულობენ | 3% | 4% |
| შეუძლიათ სიტყვებისა და წინადადებების დამოუკიდებლად დაწერა | 81% | 77% |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| დაეუფლენ სწრაფ ანგარიშს 10-ის ფარგლებში | 94% | 91% |
| დაეუფლენ რუსული სამეტყველო ენის ელემენტებს | 97% | 89% |

შემოწმებამ ცხადყო, რომ ექვსწლიან ბავშვთა მეტყველება წლის ბოლოსათვის მკვეთრად განვითარდა. ბავშვებს შეუძლიათ გამართულად თხრობა, მარტივი სურათების ლოგიკური აღწერა, მოხდა ენობრივი გათანაბრება იმ ადგილობრივ პირობებში, სადაც თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, ან სადაც მოსწავლეებმა კარგად არ იცოდნენ სწავლების ენა (სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი). აღსანიშნავია, რომ ამ ენობრივ გათანაბრებას სოფლის ან მთიანი რაიონების პირობებში მიაქვს სწავლების დიდი დრო.

ექვსწლიან ბავშვთა განვითარებულობის დონე წლის ბოლოს შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

6 წლის მოსწავლეები, პროგრამული მასალის ცოდნის მხრივ, უტოლდებიან ჩვეულებრივ შვიდწლიან პირველკლასელთა ცოდნის დონეს, ეგუებიან სასკოლო ცხოვრების წესს, უყალიბდებათ კოლექტიური თანაცხოვრების ჩვევები, დაკვირვებულობა, მიხვედრილობა, თუმცა ამ უნარების განვითარების დონით ჩამორჩებიან შვიდწლიან ბავშვებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ადრე მოპოვებული მასალების მიხედვით სკოლაში ჩაბმული 6 წლის ბავშვების განვითარებულობის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე იმ ბავშვებისა, რომელთაც სკოლაში არ უსწავლიათ.

ექვსწლიანი ბავშვების სწავლების პირველი წლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მიზანშეწონილი და შედეგიანია ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღება. ექვსწლიანთა სწავლებით კმაყოფილნი არიან მოსწავლეთა მშობლებიც.

ამასთან, გვაქვს ნაკლოვანებები და გადასაწყვეტი პრობლემები. შემდგომ დახვეწას, სრულყოფას მოითხოვს სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები. სწავლების პირველ საფეხურზე წამოჭრილი საკითხები უნდა გადაწყდეს კომპლექსში, I-IV კლასების ყველა თავისებურების გათვალისწინებით.

სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესრულება, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მეთოდური დახმარების ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდას საჭიროებს. მართალია, დიდი მუშაობაა ჩატარებული, მაგრამ, როგორც ერთი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, საკმარისი არ არის. მეთოდიკურმა რეკომენდაციებმა, რომლებიც ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებლებისათვის იყო გათვალისწინებული, უდავოდ ხელი შეუწყო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტი დაკვირვებულობაა საჭირო, რომ შეცდომები არ დავუშვათ, თავიდან ავიცილოთ მოსამზადებელი კლასის ზედმეტი გავლენა. ამჟამად მეთოდიკური რეკომენდაციები მომზადდა

მე-2 კლასის მასწავლებელთათვის და პარალელურად კიდევ უფრო იხვეწება 1-ლ კლასში გათვალისწინებული დამხმარე მასალა. საქმის წარმატებაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნაკლებად ეფექტიანია რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დახმარება სკოლებისადმი. საქმეს ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში მეთოდურ მუშაობას, სწავლების შინაარსის შემდგომ სრულყოფას არ აქვს მეცნიერულად სრულყოფილი და ორგანიზაციულად გამართული სისტემის ხასიათი. ჯერ კიდევ სუსტია პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნებისა და სხვა მეთოდური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია. სუსტია სამინისტროს პოლიგრაფიული ბაზა, რაც ყველაზე მეტად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში იჩენს ხოლმე თავს. საჭირო იქნება სახელმძღვანელოების სამმართველომ უფრო რაციონალურად დაგეგმოს სტამბის მუშაობა, რათა მისი ძალები მეორეხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაზე არ იქსაქსებოდეს.

აუცილებელ გადახედვას და გამდიდრებას საჭიროებს დაწყებითი კლასების სათვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალების არსენალი, საზრუნავია მისი ხარისხიც, რომელიც საკავშირო სტანდარტებზე გაცილებით დაბლა დგას.

კადრების სამმართველომ, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად, კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გადამზადების სისტემა. საჭიროა სისტემატური კონტროლი დაწესდეს კვალიფიკაციის კურსების შინაარსზე.

ნაკლოვანებებია სასკოლო ინვენტარ-მოწყობილობით, საკანცელარიო და სხვა სახის საქონლით დაწყებითი კლასების მომარაგების საქმეში. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში მეტი მონდომება და პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს მომარაგების მთავარმა სამმართველომ.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს დაწყებითი კლასების სასწავლო-მატერიალური ბაზების მოწყობა და განმტკიცება. ჯერ კიდევ ყველა სკოლაში არ არის შექმნილი სწავლის, დასვენება-გართობისა და კვების ნორმალური პირობები, სათანადოდ ან სრულიად არ არის მოწყობილი გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, უყურადღებოდ არის დარჩენილი კლას-კომპლექტები, სკოლის დირექტორთა ერთი ნაწილი არ იცავს თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასებში ექვსწლიანთა მიღების წესებს, სათანადოდ ვერ ერკვევა და დახმარებას ვერ უწევს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. სუსტად არის გამოყენებული მუშაობის ისეთი ეფექტიანი რეზერვი, როგორიცაა მშობელთა პედაგოგიზაცია და სხვა.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах VI Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению VII Республиканской олимпиады

**15 июля 1985 года**

Заслушав сообщение об итогах VI Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе, коллегия отмечает, что в 1984 году олимпиада проведена, как и в предыдущие годы, организованно.

Министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделы народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управление народного образования Тбилгорисполкома, общеобразовательные школы проделали определенную работу по организованному проведению школьного, районного, зонального туров олимпиады.

Участие в олимпиаде повышает интерес учащихся национальных школ к русскому языку и литературе, служит средством профессиональной ориентации, стимулирует желание овладеть русской речью в устной и письменной форме.

Число участников олимпиады растет с каждым годом: если в 1981 году в заключительном туре олимпиады приняло участие 170 учащихся 8-х, 9-х и 10-х классов, в 1982—284, в 1983 — 355, в 1984 — 435, то в 1985 году — 502 школьника состязались в мастерстве выразительного чтения и грамотного письма, проявляя при этом свое горячее желание добиться свободного владения русским языком.

Проведению олимпиады предшествовала большая подготовительная работа школ, отделов народного образования, зональных и республиканских оргкомитетов.

Значительная работа по организованному проведению олимпиады проделана в городах Тбилиси, Сухуми, Батуми, Кутаиси, Кобулети, Рустави, Махарадзе, Гори, в Ланчхутском, Зугдидском, Мцхетском, Телавском, Цителцкаройском, Сагареджойском районах.

Из 502 учащихся десятиклассников участвовало — 206, девятиклассников — 155, восьмиклассников — 141. Победителями VI Республиканской олимпиады стали 207 учащихся, из которых представлены к награждению грамотами I степени — 71, II степени — 51, III степени — 85.

Письменные работы, выполненные участниками олимпиады, свидетельствуют о повышении уровня теоретических знаний и практических навыков по русскому языку, а также о возросшем интересе к предмету самих школьников. По сравнению с I олимпиадой, проведенной в 1981 году, число учащихся, желающих принять участие в заключительном туре олимпиады, возросло более чем в 3,5 раза (622 против 170).

Анализ письменных работ, выполненных участниками заключительного тура, показал, что значительная часть учителей русского языка должное внимание уделяет развитию навыков устной и письменной речи школьников, их орфографической и пунктуационной грамотности.

Отличных показателей добились учащиеся Непаридзе М., Глонти Л. (средняя школа № 61 г. Тбилиси, учитель Бочоришвили М.), Надарейшвили Т., Церцвадзе И. (средняя школа № 55, учителя Гогитидзе Д. П., Бежанова И. А.), Макашвили Н., Мгебришвили Л. (средняя школа № 155 г. Тбилиси, учитель Мцариашвили Л.), Грдзелишвили (средняя школа № 140 г. Тбилиси, учитель Джанберидзе Л.), Хубулури Л. (средняя школа № 1, г. Тбилиси, учитель Сурмава Л.), Бакрадзе Т. (средняя школа № 130, г. Тбилиси, учитель Убилава Н.), Кутелия Н. (средняя школа № 18, г. Тбилиси, учитель Хотелашвили Л. А.), Джинчарадзе М., Чхаидзе Н. (средняя школа № 22, г. Батуми, учитель Читролян М. А.), Болквадзе И. (средняя школа № 1 г. Батуми, учитель Мадоян Ю. Г.), Куция Н., Гогишвили И. (средняя школа № 19, г. Сухуми, учитель Дзяпшпа А.), Шария Х. (средняя школа № 11, г. Сухуми, учитель Гуревич М. С.), Гогадзе П., Глонти Н. (Ланчхутская средняя школа № 1, учитель Чкареули Н.), Одикадзе Л. (Сагареджойская средняя школа № 2, учитель Кайхосрошвили Т.), Табагуа М. (средняя школа № 13, г. Рустави), Бочоришвили М. (Сарачлинская средняя школа Болнисского района), Габелия Н., Жвания Н. (Чхороцкуйсская средняя школа № 1, учитель Толордава С.).

Однако уровень практических навыков и умений все ещё отстает от теоретических знаний учащихся. Некоторые участни-

ки заключительного тура олимпиады, хорошо владея устной речью, получили низкие оценки по письменному конкурсу. Не справилить с писменным заданием учащиеся Ахалцихского, Мцхетского, Местийского, Каспского, Кедского, Шуахевского районов.

Не приняли участия в олимпиаде школьники Ахметского, Лентехского, Тетрицкаройского, Кварельского, Цагерского, Цалкского районов, что свидетельствует о слабой работе в этом направлении общеобразовательных школ и отдела народного обарзования названных районов.

Коллегия решает:

1. За успехи, достигнутые в VI Республиканской олимпиаде учащихся грузинских и других национальных школ по русскому языку и литературе, наградить 207 участников, из них грамотой I степени — 71, II степени — 51, III степени — 85.

2. VII Республиканскую олимпиаду по русскому языку для учащихся национальных школ провести в г. Тбилиси, согласно Положению об олимпиаде в 4 тура: школьный, районный (городской), зональный и республиканский. Определить следующие сроки их проведения: школьный — в декабре 1985 года; районный (городской) — в январе 1986 года; зональный — 2 марта 1986 года; республиканский — 6 апреля 1986 года.

3. Для руководства VII Республиканской олимпиадой утвердить организационный комитет в следующем составе;

Мачарашвили К. Ш. — профессор, доктор педагогических наук, заместитель директора НИИ ПН им. Я. Гогебашвили (председатель)

Гиоргобиани Н. С. — инспектор Министра ГССР (заместитель)

Бачиашвили Л. Д. — методист отдела русского языка и литературы Республиканского учебно-методического кабинета Управления школ Министерства просвещения Грузинской ССР

Бежанова И. А. — учитель-методист русского языка и литературы средней школы № 55 г. Тбилиси, заслуженный учитель Грузинской ССР

Гелеква Н. Е. — заведующая учебно-методическим кабинетом русского языка и литературы Тбилисского городского ИУУ

Иванова Л. К. — методист отдела русского языка и литературы Республиканского учебно-методического кабинета Управления школ

Майсурадзе М. А. — методист учебно-методического кабинета русского языка в национальной школе ЦИУУ

Микаэлян Г. Г. — доцент кафедры методики русского языка и литературы ЦИУУ, кандидат педагогических наук

Немсадзе А. А. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили, кандидат педагогических наук

Ростиашвили Т. Г. — учительница русского языка и литературы средней школы № 124 г. Тбилиси

Урдиа М. В. — методист дорожного методкабинета отдела учебных заведений Закавказской железной дороги

Чинчаладзе Л. З. — научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили, кандидат филологических наук

Шелеметьева В. А. — инспектор Минпроса ГССР

4. Поручить Республиканскому оргкомитету обеспечить руководство подготовкой и проведением олимпиады, периодически проверять организационные вопросы. Своевременно и оперативно провести подготовительную работу, разослать на места данное решение.

5. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов республики, начальнику Управления народного образования Тбилгорисполкома;

— обеспечить обсуждение данного решения коллегии «Об итогах VI Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению VII Республиканской олимпиады» на заседании методобъединения учителей данного предмета и советов рай (гор) оно;

— устранить недостатки, отмеченные в настоящем решении, принять дополнительные меры с целью дальнейшего совершенствования работы школ по повышению качества знаний учащихся по русскому языку и литературе;

— принять меры к широкому вовлечению в олимпиаду заинтересованных этим предметом школьников, поощрять участие в олимпиаде учащихся юношей, а также усилить профориентационную работу с целью пополнения учительских кадров данного профиля;

— своевременно создать на местах организационные комитеты по проведению школьного, районного (городского) и зонального туров олимпиады и оказывать им действенную помощь для успешной реализации стоящих перед ними задач;

— провести соответствующую подготовительную работу по обеспечению участия лучших школьников во Всесоюзной олимпиаде по русскому языку для учащихся общеобразовательных школ с нерусским языком обучения.

6. Главному управлению снабжения (тов. К. Дзлиеришвили) выделить Республиканскому учебно-методическому кабинету Управления школ писчую бумагу в необходимом количестве для проведения VII Республиканской олимпиады по русскому языку и литературе.

7. Планово-финансовому управления (тов. О. Кереселидзе) в бюджете Республиканского учебно-методического кабинета предусмотреть соответствующие расходы в связи с проведением олимпиады.

8. Контроль за выполнением данного решения возложить на Управление школ (тов. Т. Татишвили).

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დათვალიერების შედეგებისა და მე-11 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დათვალიერება ჩატარდა 1985 წლის 15-26 ივნისს აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სოფლების ოდიშის, ბეშკარდაშის, ახალშენისა და კამანის ტერიტორიაზე, ტურისტული მარშრუტი დამტკიცებულ იქნა ტურიზმისა და ექსკურსიების აფხაზეთის საოლქო საბჭოს მიერ. მარშრუტის საერთო მანძილი 75 კმ-ს შეადგენდა.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო უფროსი და უმცროსი ასაკის 9 ზონის 14 ტურისტულმა გუნდმა.

განვლილ შეჯიბრებებთან შედარებით მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრება ორგანიზებულობით გამოირჩეოდა.

მომზადდა 100-ზე მეტი ნიშნოსანი სროლასა და ტურიზმის ტექნიკაში, ყველა მონაწილემ შეასრულა „სსრკ ტურისტის“ სათანრიგო მოთხოვნები. გასულ წელთან შედარებით არსებითად შეიცვალა მონაწილე გუნდების გარეგნული მხარე, აღჭურვილობა და ინვენტარი, საპარადო, სავარჯიშო და სალაშქრო ფორმები. წარმოდგენილი იქნა თვითნაკეთი ტურისტული ხელსაწყოებიც.

შეჯიბრების ჩასათვლელ სახეობებსა და მასობრივ-თავდაცვით დათვალიერებაში მიღწეული შედეგების გამო, საერთო გუნდური I ადგილი უფროსი ასაკის ტურისტულ გუნდებს შორის წილად ხვდა ქ. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლას (ხელმძღვანელები: გ. ვ. დგებუაძე და ჟ. გ. ფანცულაია), II ადგილი ქ. თბილისის 143-ე საშუალო სკოლას (ხელმძღვანელები: ნ. შ. ძუკაევა და თ. პ. გოთუა), III ადგილი ქ. ცხაკაიას 1-ლ საშუალო სკოლას (ხელმძღვანელები: გ. ს. კიკიანი და რ. გ. ჭანტურია). უმცროსი ასაკის ტურისტულ გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I ადგილზე გამოვიდა გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის საშუალო სკოლა (ხელმძღვანელები: ბ. ი. სიდორენკო და ნ. ვ. მიშველია), II ადგილზე — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა( ხელმძღვანელები: თ. გ. ბარბაქაძე და ნ. გ. გოგოლაძე), III ადგილზე კი ზნაურის რაიონის საშუალო სკოლა (ხელმძღვანელები: ზ. ი. ტოტოევი და ზ. შ. ცხოვრებოვა). შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარებას ხელი შეუწყო საორგანიზაციო კომიტეტის გააზრებულმა მუშაობამ. დებულების თანახმად გამარჯვე-

ბული გუნდები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო თასებითა და სხვადასხვა-სახის ვიმპელებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების დროს შეინიშნებოდა ერთგვარი ნაკლოვანებანიც, კერძოდ: ლაგოდეხის ზონიდან არც ერთმა გუნდმა არ მიიღო მონაწილეობა, აგრეთვე შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ ქ. თბილისის 152-ე საშუალო სკოლა და ქ. ზუგდიდის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის ტურისტული გუნდები. ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როცა გუნდის ხელმძღვანელები კარგად არ იცნობდნენ დებულებას, გუნდებმა სუსტი ნამუშევრები წარმოადგინეს ტოპოგრაფიულ აგეგმვაში, ლაშქრობის აღწერილობა-ანგარიშებიც არ იყო სათანადოდ გაფორმებული.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დათვალიერებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები (დანართი 1).

2. საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვით დათვალიერებაში I ადგილის მოპოვებისათვის ქ. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის უფროსი ასაკისა და გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის საშუალო სკოლის უმცროსი ასაკის ტურისტული გუნდები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით.

3. საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვით დათვალიერებაში II ადგილის მოპოვებისათვის ქ. თბილისის 143-ე საშუალო სკოლის უფროსი ასაკისა და გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების უმცროსი ასაკის ტურისტული გუნდები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით.

4. საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვით დათვალიერებაში III ადგილის მოპოვებისათვის ცხაკაიას რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის უფროსი ასაკისა და ზნაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის უმცროსი ასაკის ტურისტული გუნდები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით.

5. საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდეს საშუალო და რვაწლიანი სკოლების ტურისტული გუნდები (დანართი 2).

6. საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებასა და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვითი დათვალიერების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ შემდეგი ამხანაგები (დანართი 3).

7. ნება დაერთოს ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს მე-11 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება ჩაატაროს 1986 წლის ივნისის თვეში.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა და ბავშვთა ტურისტული სადგურების დირექტორებმა:

8. 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ,სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დროულად გააცნონ მომავალი შეჯიბრების პირობები, რათა ფართოდ ჩაბან სკოლები სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) და ზონალურ შეჯიბრებებში;

8. 2. ყოველგვარი ღონე იხმარონ გუნდების ზონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გაგზავნისათვის, უზრუნველყონ სათანადო ინვენტარით, ტურისტული და სპორტული ფორმებით, მგზავრობის ხარჯებითა და დღიურებით რესპუბლიკური შეჯიბრების ადგილზე მათ გამოცხადებამდე.

9. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

## საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეკრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დათვალიერებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოებულ მასწავლებელთა სია:

1. თუმანიშვილი იულია ზაალის ასული — ქარელის რაიონის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი
2. კაჯაევი ანზორ ალექსანდრეს ძე — ქარელის რაიონის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი
3. ტაბატაძე ნუნუ სეითის ასული — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი
4. გრიგალაშვილი მარლენ ვასილის ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
5. ცხოვრებოვა ზემფირა შალვას ასული — ზნაურის რაიონის პიონერთა სახლის წრის ხელმძღვანელი
6. ფანცულაია ჟანა გიორგის ასული — ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი
7. სიდორენკო ბორის ივანეს ძე — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის საშუალო სკოლის მასწავლებელი
8. მეშველია ნათელა ვახტანგის ასული — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის საშუალო სკოლის მასწავლებელი
9. ყულიაშვილი დალი გიორგის ასული — გორის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლის მასწავლებელი
10. ნებისაძე მზია მიხეილის ასული — გორის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლის მასწავლებელი

დანართი 2

## საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეკრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვითი დათვალიერების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოებული სკოლების სია:

1. ქარელის მე-3 საშუალო სკოლა
2. ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლა
3. ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლა
4. ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გორის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლა
6. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის საშუალო სკოლა
7. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა

დანართი 3

საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ ტურისტულ შეკრებაში და მოსწავლეთა მასობრივ-თავდაცვითი დათვალიერების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოებულთა სია:

1. ფეტელავა პაატა ბიქტორის ძე — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი
2. ტაბაღუა დიმიტრი ჯოტოს ძე — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორის მოადგილე
3. ჩოლარია ბორის შალიკოს ძე — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის განყოფილების გამგე
4. ჩხიმჯარია ლავრიკ გუჯას ძე — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის განყოფილების გამგე
5. პაიჭაძე სერგო იორდანის ძე — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის წრის ხელმძღვანელი
6. პოპოვა ვალენტინა არკადის ასული — აფხაზეთის ასსრ ბავშვთა ტურისტული სადგურის მეთოდისტი
7. არჩვაძე ანზორ რაჟდენის ძე — ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე
8. მაღლაკელიძე ბუდუ სევერიანის ძე — ფოტოლაბორატორიის გამგე
9. ბენიძე გიორგი — აფხაზეთის ასსრ ტურიზმის საბჭოს მაშველი სამსახურის უფროსი
10. თევზაძე მიხეილ რევაზის ძე — თბილისის ტურისტული კლუბის ინსტრუქტორი
11. ჯალაღონია ნოდარ იპოლიტეს ძე — აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე
12. ოპაჩინსკი ბენიამინ არონის ძე — აფხაზეთის ასსრ სპორტული დისპანსერის ექიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება

## ნორჩ ფოლკლორისტთა კლუბის „ირმისას“ მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

ყოველ წელს იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობით. ამით მოსწავლეები დიდ დახმარებას უწევენ მეცნიერებას ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მოძიებასა და ქართული ფოლკლორის გამდიდრების საქმეში, რაზედაც ნათლად მეტყველებს შეკრება-სემინარებზე შემოსული ზეპირსიტყვიერი მასალები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკური კლუბის „ირმისას„ მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი ჩატარდეს თბილისში 1985 წლის 2-3 ნოემბერს.

2. ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკური კლუბის „ირმისას“ მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარება დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, კომკავშირის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნორჩ ფოლკლორისტთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

4. შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილებები ნორჩ ფოლკლორისტთა კლუბის „ირმისას“ რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მოქმედ დებულებაში.

5. დამტკიცდეს ნორჩ ფოლკლორისტთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1).

6. დაევალოს გაზეთების: „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელის“ რედაქციებს გააშუქონ ნორჩ ფოლკლორისტთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მიმდინარეობის საკითხები.

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## ნორჩ ფოლკლორისტთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შესახებ

ნორჩ ფოლკლორისტთა მე-8 რესპუბლიკურ შეკრებას აწყობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ნორჩ ფოლკლორისტთა კლუბი „ირმისა" შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მეცნიერ მუშაკთა კონსულტაციით.

შეკრება-სემინარის დევიზია: „მივუსწროთ, გადავარჩინოთ, შემოვინახოთ!"

შეკრება-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკის სკოლებსა თუ სკოლისგარეშე დაწესებულებებთან შექმნილმა ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკური კლუბის „ირმისას" ფილიალებმა და ფოლკლორულმა წრეებმა. გარდა ამისა, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია სხვადასხვა სახის წრეებს (ნორჩ ლიტერატორთა, მხატვრული კითხვის....) და ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობით დაინტერესებულ ყველა პიონერსა თუ კომკავშირელს.

## შეკრების მიზანი

შეკრების მიზანია ხელი შეუწყოს ხალხური სიტყვიერების შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში, მათ საზოგადოებრივ აქტივობას, სწორი მეთოდური ხელმძღვანელობის საფუძველზე მოსწავლეთა ძალების სოფლად და ქალაქად ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის გაშლას.

იმ სკოლებსა თუ სკოლისგარეშე დაწესებულებებში, სადაც ჯერ კიდევ არ გაშლილა ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა, სასურველია, შეიქმნას კლუბ „ირმისას" ფილიალები და ნორჩ ფოლკლორისტთა წრეები, რათა ნორჩმა ფოლკლორისტებმა მივიწყებას გადაარჩინონ ეროვნული საუნჯე.

პედაგოგებმა ყურადღება მიაქციონ, რომ ამიერიდან სავალდებულოა ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკურ შეკრება-სემინარზე წარმოდგენილ იქნას ფოლკლორული კლუბებისა და წრეების ანგარიშები გაწეული მუშაობის თაობაზე.

## მოსაძიებელი მასალის თემატიკა

I — ხალხური პროზა: თქმულება, გადმოცემა, ლეგენდა, ზღაპარი

II — ხალხური პოეზია: ლექსი, პოემა, ბალადა, გაბაასება, კაფია, შაირი, შელოცვა

III — დრამა (ყეენობა, ბერიკაობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV — მცირე ჟანრები: ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანა, ეპიტაფია

V — საბავშვო ფოლკლორი: აკვნის სიმღერები, სალაღობო, სალალაო და შესაქცევარი, ცოცხალი ტყუილი, გამოსაჯავრებელი ლექსები, გათვლები, ენის გასატეხი...

VI — თანამედროვე ზეპირსიტყვიერება: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში, სამშობლო, მშობლიური მხარე, ვ. ი. ლენინი, ახალი ყოფა, სოციალისტური მშენებლობა, სოციალისტური სოფელი, დიდი სამამულო ომი.

თბილისისა თუ სხვა ქალაქის მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ ქალაქური ყოფის ამსახველ ძველ და ახალ ფოლკლორულ მასალებზე, აღნუსხონ ქალაქის ძველი ადგილების, მოედნების, ქუჩების, უბნების სახელწოდებასთან დაკავშირებული გადმოცემები და თქმულებები, მოიძებნონ თბილისში მცხოვრები მთქმელი და პროფესიული მომღერალი (მესტვირე, მეჩონგურე, აშუღი და სხვა).

ქალაქელ მოსწავლეებს ვურჩევთ შეხვდნენ ზამთრის პერიოდში ახლობლებთან სტუმრად ჩამოსულ ხანდაზმულ ადამიანებს და მათგან ჩაიწერონ ფოლკლორული მასალები. ამასთანავე, ისარგებლონ ზამთრისა თუ ზაფხულის არდადეგებით და სოფლად ყოფნისას მოიძიონ ხალხური სიტყვიერების ნიმუშები.

ფოლკლორული მასალის ჩაწერისას უთუოდ დაცული უნდა იქნას მთქმელის მეტყველების თავისებურება, მისივე რეპლიკების („იმ დღენათელმა“, „იმას კი ვენაცვალე“, „ის პირშავი“. „ის სულწაწყმედილი“), აღნიშვნით, ყოველგვარი შესწორების გარეშე.

ჩაწერილ მასალას აუცილებლად თან უნდა დაერთოს მთქმელის ვინაობა (პასპორტი): გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, განათლება, პროფესია, მასალის ჩაწერის დრო და ადგილი, აგრეთვე აღინიშნოს ვისგან მოუსმენია ესა თუ ის ნაწარმოები, მთქმელ ქალს მიეწეროს გამოთხოვების ადგილი.

თუ ფოლკლორული მასალა დაკავშირებულია რიტუალთან ან წეს-ჩვეულებასთან, საჭიროა ამასაც გაესვას ხაზი (მაგალითად, მთქმელმა ლექსი შეასრულა სიმღერით ფანდურზე, ან თიბვის დროს, ან ქორწილში).

საჭიროა პედაგოგებმა ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციასა და ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკურ შეკრება-სემინარს შორის არსებულ თემატურ და მიზნობრივ განსხვავებას. კონფერენციის მიზანია მონაწილეს გამოუმუშავოს ანალიზის, ლოგიკური მსჯელობის, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, ხოლო შეკრება-სემინარი მოსწავლეებს

უნერგავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ჩვევებს, უძლიერებს მათ მშობლიური მხარის სიყვარულს, ხელს უწყობს მოზარდში პატრიოტული და მოქალაქეობრივი გრძნობის გაღვივებას. ამდენად, კონფერენციაზე უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ კვლევითი ხასიათის ნაშრომი, ხოლო შეკრება-სემინარზე კი — უშუალოდ ნიმუშები (ტექსტები), რომელთაც დაერთვის შესავალი, კომენტარი, დასკვნა.

## შეკრების ორგანიზაცია

შეკრებაში მონაწილეობის მსურველებმა თავიანთი ნამუშევრები (წერილობით) უნდა გადმოაგზავნონ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტში ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკური კლუბის „ირმისას" სახელზე, არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა.

თავფურცელზე სრულად დააწერონ სახელი, მამის სახელი, გვარი, რაიონი (სოფელი, დაბა), ქალაქი, სკოლა, კლასი. ნამუშევრების გვერდები დანომრონ, მიუთითონ ხელმძღვანელი მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი.

მოძიებული მასალა სასურველია მოთავსდეს საერთო ან თორმეტფურცლიან რვეულში.

დანართი 1

## საორგანიზაციო კომიტეტი

1. ბარდაველიძე ჯონდო — ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკური კლუბის „ირმისას" საპატიო თავმჯდომარე, შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე
2. დარჩია მამია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
3. ხაჩიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
4. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
5. ალავერდაშვილი ანა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერული მუშაობის განყოფილების გამგე
6. ყლენტი თეიმურაზი — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ჭელიძე გიზო — შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

8. ზანდუკელი ფიქრია — შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

9. კირვალიძე მილადა — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ინსპექტორ-მეთოდისტი

10. გვაზავა კონსტანტინე — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების გამგე

11. ქიტოშვილი ლეილა — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტის გამგე

12. ფანიაშვილი მანანა — ნორჩ ფოლკლორისტთა რესპუბლიკური კლუბის „ირმისას“ ხელმძღვანელი

13. ბაკიძე ეთერი — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტის პედაგოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება

## 1985—1986 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საბავშვო დაწესებულებათა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისა და გათბობის ქსელის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა რა მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. კ. ძლიერიშვილის ინფორმაცია (თან ერთვის) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 მაისის დადგენილების „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1985—1986 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადებისა და მოსახლეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მომარაგების შესახებ“ შესასრულებლად გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, განათლების სისტემის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფმა დაწესებულებებმა:

1. 1. შექმნან სპეციალური კომისიები შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მომზადების უზრუნველსაყოფად;

1. 2. სისტემატური კონტროლი დააწესონ სათბობზე გამოყოფილი ფონდების დროულ და სრულ ათვისებაზე, დაქვემდებარებულ საბავშვო დაწესებულებებში მათ შეტანაზე, შეტანისას დანაკარგების შემცირებაზე, უზრუნველყონ სათბობის მარაგის შექმნა და მისი ეკონომიური ხარჯვა;

1. 3. კაპიტალურ შეკეთებაზე გამოყოფილი თანხები პირველ რიგში მიმართონ გათბობის სისტემის შესაკეთებლად და შენობაში სითბოს დანაკარგების მაქსიმლურად შესამცირებლად (კარ-ფანჯრების შეკეთება-გერმეტიზაცია, შემინვა და სხვა);

1. 4. უზრუნველყონ ა/წლის 15 ოქტომბრამდე საქვაბეების და გათბობის გარე და შიდა სისტემის სრულ წესრიგში მოყვანა და მათი გამოცდა შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის;

1. 5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, გათბობის სეზონის დაწყებამდე, წარმოუდგინონ ინფორმაცია სათბობზე გამოყოფილი ფონდების ათვისებისა და საქვაბე მეურნეობაში ჩატარებული კაპიტალურ-სარემონტო სამუშაოების შესახებ;

1. 6. მიიღონ გადამჭრელი ზომები და საქვაბე მეურნეობის კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად მაქსიმალურად გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 7. გათბობის სისტემის ნორმალური ექსპლუატაციის მიზნით უზრუნველყონ საქვაბე მეურნეობის კვალიფიციური მომსახურე პერსონალით დაკომპლექტება და საჭირო პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება (ქვაბების, რადიატორების და მილგაყვანილობის გარეცხვა და შემოწმება) გათბობის სეზონის დაწყებამდე;

1. 8. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ყოველი წლის ბოლოს უზრუნველყონ მომავალი წლისათვის განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოში სათბობზე განაცხადებისა, ხოლო კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში სისტემის ნაკრები ხარჯთაღრიცხვების წარმოდგენა მათი მასალებით და სათბობით დროულად უზრუნველყოფისათვის.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ:

2. 1. შეისწავლოს განათლების განყოფილებათა მოთხოვნები, მიაღწიოს სათბობზე ფონდების გამოყოფას და სრულად უზრუნველყოს სათბობზე საბავშვო დაწესებულებათა მოთხოვნა;

2. 2. კონტროლი დააწესოს გამოყოფილი ფონდების ათვისებასა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვაზე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

3. 1. შეისწავლოს მოთხოვნები, მიაღწიოს მასალებზე ფონდების გამოყოფას და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად უზრუნველყოს საბავშვო დაწესებულებებზე მასალების გამოყოფა;

3. 2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დროულად გადაეცეს სამუშაოთა წარმოების გეგმა, ტექნიკური დოკუმენტაცია და გამოყოფილი მასალები გათბობის ქსელის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად;

3. 3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ და საპროექტო კანტორამ ახალი მშენებარე ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყონ შერჩევით გათბობის ქსელის დამონტაჟების სისწორის შემოწმება დამტკიცებულ პროექტთან შედარებით.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, რათა 1986 წლისათვის ფონდების გამოყოფა მოახდინონ ჩვენს მიერ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად. უზრუნველყონ ფონდების გაზრდა შეშაზე, ღუმლის საწვავზე, ქვანახშირზე (მათ შორის დონბასის და მსხვილი ფრაქციის ქვანახშირზე), გათბობის ქვაბებზე, ელექტროტუმბოებზე, ვენტილატორზე, რადიატორზე (მათ შორის თუჯის რადიატორზე) და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რათა დირექტივო ორგანოების მითითებათა შესასრულებლად ჩვენს მიერ წარმოდგენილ განაცხადთა შესაბამისად უზრუნველყოს ელექტროქურებზე ფონდის გამოყოფა ექსპლუატაციაში არსებული გაზქურების შესაცვლელად.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახ. კომიტეტს, რათა სამშენებლო მასალებზე ფონდის გამოყოფა მოხდეს წლის დასაწყისშივე (იანვარი) და მასალების გაცემა უზრუნველყოფილ იქნას წლის პირველ ნახევარში.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მასალებითა და ფინანსებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მოახდინოს დაშვებული გეგმის ზევით დამატებითი სამუშაოების ჩატარება.

8. ეთხოვოს საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

8. 1. მაქსიმალური დახმარება გაუწიონ მათ ბალანსზე მყოფ საბავშვო დაწესებულებებს სათბობი მასალების ტრანსპორტირებაში, ფონდების ათვისებასა და საქვაბე მეურნეობის სისტემის სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების სახსრები და რესურსები;

8. 2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა/წლის 14 მაისის დადგენილების 27-ე მუხლის შესაბამისად ტყეკაფვის ფონდის ანგარიშში უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების შეშაზე მოთხოვნის დაფარვა.

9. შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საბავშვო დაწესებულებების გათბობის ქსელისა და თბოენერგო რესურსებით უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ. ვაჩნაძე, თავმჯდომარე — მინისტრის მოადგილე, წევრები: ო. კერესელიძე — საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი, ბ. აფხაზავა — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, თ. ქიქოძე — საპროექტო კანტორის უფროსი, კ. ძლიერიშვილი — მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი, რ. თოლორდავა — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერი, ლ. კვირკველია —

საპროექტო კანტორის სანტექნიკური განყოფილების უფროსი, [illegible]რიაშვილი — მომარაგების მთავარი სამმართველოს ფონდების განყოფილების უფროსი.

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. თ. ვაჩნაძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია

## 1985—1986 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის განათლების სისტემაში შემავალი საბავშვო დაწესებულებების მზადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემაში ფუნქციონირებს 3611 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 1497 ბაგა-ბაღი, 14 საბავშვო სახლი, 77 სკოლა-ინტერნატი და 62 სკოლისგარეშე დაწესებულება, მათ შორის ქალაქად 1442 ობიექტია, ხოლო სოფლად — 3891.

აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საბავშვო დაწესებულებების მოთხოვნებს (1607 ორგანიზაცია) სათბობზე აკმაყოფილებენ შესაბამისი მინისტრთა საბჭოები და საქალაქო აღმასკომები. აღნიშნულის გარდა ქ. გორის 28 საბავშვო დაწესებულების და ქ. რუსთავის 51 საბავშვო დაწესებულების გათბობის ქსელის მომსახურება გადაცემული აქვს შესაბამისი ქალაქების თბომეურნეობების სამმართველოებს.

ამასთან ერთად რესპუბლიკის 1428 საბავშვო დაწესებულება, რომელთა გათბობა შეშის ღუმელების მეშვეობით ხდება, კმაყოფილდება საქალაქო და რაიონული აღმასკომების მიერ მათზე გამოყოფილი ტყეკაფების ფონდის ანგარიშში.

ამდენად, განათლების სამინისტრო, მასზე გამოყოფილი სათბობისა და მასალების ფონდების ანგარიშში, ახდენს 2146 ობიექტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

2146 ობიექტიდან 166 ობიექტის გათბობის ქსელი ბუნებრივ გაზზე მუშაობს, 23 ობიექტი — მაზუთზე, 21 ობიექტი — ღუმლის საწვავზე, ხოლო 1936 — ქვანახშირზე.

შესწავლილი მოთხოვნის, დადგენილი ნორმებისა და გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1985 წელს წარედგინა განაცხადი ქვანახშირზე — 71.0 ათ ტონა, შეშაზე—21.0 ათ კბმტ, ბუნებრივ გაზზე—13.0 კბმტ, მაზუთზე—1200 ტონა, ღუმლის საწვავზე—2000 ტონა, ელექტროენერგიაზე—65.0 მ. კილ-სთ., გათბობის ქვაბზე—3247, უკმ, რადიატორზე—19478 ეკმ და წყალსადენის მილზე — 284,6 ტონა.

1985 წლისათვის განათლების სამინისტროს გამოეყო ტყიბულის ქვანახშირი 60.2 ათ ტონა, დონბასის ქვანახშირი 1.7 ათ ტონა, ელექტროენერგია 59.6 მ კვტსთ, შეშა 5.3 ათ კბმტ. მაზუთი — 800 ტონა, ღუმლის საწვავი 600.0 ტონა, მოტორის საწვავი 100.0 ტონა, ბუნებრივი გაზი — 12.0 მ. კბმტ. გათბობის ქვაბი — 1000 უკმ, რადიატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი — 1925 ეკმ და წყალსადენის მილი 140.0 ტონა, ფონდის ზრდამ სათბობზე 1984 წელთან შედარებით დაახლოებით 4% შეადგინა.

რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებს 1750 გამთბობი ქვაბი ემსახურება, რომელთა გარკვეული ნაწილი ყოველწლიურად კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება, ხოლო სამინისტრო წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით მათზე სამშენებლო მასალების განაწილებას ახდენს.

მიმდინარე წელს სამინისტროში გათბობის სისტემის შესაკეთებლად რაიონის განათლების განყოფილებებიდან წარმოდგენილი იყო 74 ობიექტის ხარჯთაღრიცხვა, რომლებშიც გათვალისწინებული იყო 46 ცალი გათბობის ქვაბის, 4482 ეკმ რადიატორისა და 111 ტონა წყალსადენის მილის შეცვლა-შეკეთება. აქედან გეგმაშია შეტანილი 54 ობიექტის — 22 ცალი (1000 გვ. მ) გათბობის ქვაბის, 1000 ეკმ. რადიატორისა და 65.0 ტონა წყალსადენის მილის შეცვლა. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებში სარემონტო სამუშაოებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ატარებს და ამდენად, მას გადაეცა ყველა ზემოაღნიშნული ფონდი.

რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი ობიექტების კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად განათლების სამინისტროს სპეცსარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გადაეცა 925 ეკმ რადიატორი და 40.0 ტონა წყალსადენის მილი.

განათლების სამინისტრო ყოველწლიურად უშუალოდ რესპუბლიკის რაიონის განათლების განყოფილებებზე სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების აუცილებელი საჭიროებისათვის საკმაო რაოდენობის ფანჯრის მინას ანაწილებს.

1985 წელს გამოყოფილია შიფერი 136.0 ათ. პირ. ფილა და სახურავი თუნუქი 132.0 ტნ. რომელიც საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს № 1 და № 2 სამშენებლო-სარემონტო ტრესტებს გადაეცა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ობიექტების შესაკეთებლად.

განათლების სამინისტრო მასზე გამოყოფილი 5.3 ათ. კუბ. მეტ. შეშას სკოლა-ინტერნატებზე, საბავშვო სახლებსა და აგრეთვე რესპუბლიკის იმ რაიონების განათლების განყოფილებებზე ანაწილებს, რომელთა ადმასკომებს შეშის ტყეკაფვის ფონდი არ გააჩნიათ.

რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებებისათვის სათბობი ფონდები დროულად, მათ მიერ მოთხოვნილ ვადებში იგეგმება და წესდება კონტროლი, რათა მომწოდებელმა სათბობის გადატვირთვა დადგენილ ვადებში მოახდინოს.

წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად სრულად კმაყოფილდება რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებების მოთხოვნები ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ გაზსა და მაზუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნებართვის სრული გათვალისწინებით როდი ახდენს განათლების სამინისტროზე ღუმლის საწვავის ფონდის გამოყოფას. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნებართვის თანახმად 1985 წელს უნდა გამოგვყოფოდა 1300.0 ტონა ღუმლის საწვავი, ფაქტიურად მხოლოდ 600.0 ტონა გამოგვეყო.

სისტემის 1936 ობიექტის გათბობისათვის გამოყოფილ იქნა 61.9 ათ. ტონა ქვანახშირი, მათ შორის 38.5 ტონა მსხვილი ფრაქციის და 23.4 ტონა წვრილი ფრაქციისა. წვრილი ფრაქციის ქვანახშირი დაახლოებით 37%-ს შეადგენს.

იმის გამო, რომ ტყიბულის მიერ მოწოდებული წვრილი ფრაქციის ქვანახშირი უხარისხოა, სისტემაში არსებული დაბალი წარმადობის ქვაბები ვერ უზრუნველყოფენ მის გამოყენებას და აღნიშნული ქვანახშირის ხარჯვა დადგენილ ნორმებთან შედარებით გაზრდილია, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში ვერ ვახდენთ მაღალმთიანი რაიონების, კერძოდ ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, დმანისის, ლენტეხის, მესტიის, თიანეთისა და სხვა რაიონების საბავშვო დაწესებულებების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

1984—1985 წლებში ცენტრალური გათბობა გაყვანილ იქნა 12 საბავშვო დაწესებულებაში, ქვანახშირიდან ბუნებრივ გაზზე გადაყვანილი იქნა 15 ობიექტი, ხოლო თხევად სათბობზე — 6.

წლების მანძილზე რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებებში გათბობის სეზონი ნორმალურად მიმდინარეობს, განათლების სამინისტრო რეაგირებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. ახდენს სათბობზე დამატებითი ფონდის გამოყოფას. სათბობის დაგვიანებით მიღების შემთხვევაში საბავშვო დაწესებულებების სათბობით უზრუნველყოფის საკითხი წყდება ადგილებზე აღმასკომების ჩარევით.

საბავშვო დაწესებულებების სათბობით უზრუნველყოფის, გათბობის ქსელის სრული მოწესრიგებისა და მის მომჭირნეობით ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, ზემდგომი ორგანოების დავალების შესასრულებლად რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებებს მითითება ეძლევათ, რათა დროულად მოახდინონ სათბობზე გამოყოფილი ფონდების ათვისება, გააძლიერონ ბრძოლა რესურსების მიღების, ტრანსპორტირებისა და შენახვისას დანაკარგების აღსაკვეთად, გაატარონ დამატებითი ღონისძიებანი მათი ეკონომიური ხარჯვისათვის, ფართოდ დანერგონ საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების გამოყენება სათბობის ხარჯვის აღრიცხვისათვის, მოაწესრიგონ სარეზერვო გათბობის რეზერვუარები და მოახდინონ სარეზერვო სათბობის მარაგის შექმნა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სამშენებლო მასალებსა და სათბობზე ფონდის დროულ გამოყოფას და სეზონის ნორმალურ მიმდინარეობას ხელს უშლის შემდეგი ნაკლოვანებანი:

1. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სრულად, ჩვენი განაცხადის შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს როგორც სათბობზე, ასევე სამშენებლო მასალებზე ფონდის გამოყოფას.

2. საქალაქო და რაიონული საბჭოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო დაწესებულებებში გათბობის ქსელის მოვლა-პატრონობას.

3. სათბობ შეშაზე ფონდების გამოყოფისას დანაწევრება — რაისაბჭოს აღმასკომებს ეყოფათ შეშის ტყეკაფვის ფონდი, ხოლო განათლების სამინისტროს დამზადებული შეშის ფონდი იწვევს უკონტროლობას და აღნიშნულზე ზოგიერთი რაიონის საბავშვო დაწესებულების არასრულ დაკმაყოფილებას.

4. გამოყოფილი მასალების სიმცირე და მათი არადროული მიწოდება ხელს უშლის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გათბობის ქსელის სარემონტო სამუშაოების დროულ ჩატარებაში.

5. მოიჯარადრე ორგანიზაციების მიერ გათბობის შიდა და გარე ქსელის და აგრეთვე საქვაბეების მონტაჟი ხშირ შემთხვევაში პროექტის დარღვევით ხორციელდება, რაც გათბობის ქსელის მწყობრიდან ნაადრევ გამოსვლას განაპირობებს და ითხოვს დამატებითი მასალებისა და სახსრების გამოყოფას გათბობის სისტემის აღსადგენად. აღნიშნული გამოწვეულია დამკვეთების — საქართველოს სსრ მთავარი კაპიტალური სამმართველოს სამსახურების — მიერ მშენებლობის პროცესში და ექსპლოატაციაში მიღების დროს დაშვებული უკონტროლობით.

6. რაისაბჭოს აღმასკომები, სასოფლო საბჭოები და განათლების რაიონული განყოფილებები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საქვაბეების კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც გათბობის სისტემების არასწორ ექსპლოატაციას, სათბობის არარენტაბელურ ხარჯვას და ზოგ შემთხვევაში საქვაბეების მწყობრიდან გამოსვლას განაპირობებს.

**მომარაგების მთავარი სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი 1985 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება

### მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს მიეძღვნა, ჩატარდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, რაც სასკოლო, რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციებისადმი პასუხისმგებლობის გაზრდამ განაპირობა.

კონფერენციისათვის მზადებამ ხელი შეუწყო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს იმ მოსწავლეთა გამოვლენაში, რომლებიც კარგად ერკვევიან პიონერულ და კომკავშირულ მუშაობაში, დამოუკიდებლად აწარმოებენ საკვლევაძიებო ხასიათის სამუშაოებს, ალღო აუღეს სხვადასხვა მეცნიერების საღღეისო პრობლემებს, აქვთ სურვილი პრაქტიკული მუშაობისა, რაც იმის დასტურია, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სავალდებულო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პარალელურად საინტერესო კლასგარეშე მუშაობაა გაშლილი და მასში ბევრი ნიჭიერი და დაინტერესებული მოსწავლეა ჩაბმული.

რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ რეგისტრირებული იქნა რესპუბლიკის 59 რაიონიდან და ქალაქიდან შემოსული 3555 ნაშრომი, რომელთაგან 462 დაშვებული და მოსმენილი იქნა 32 დასკვნით სხდომაზე. იმუშავა: ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, რადიოს, ასტრონომიის, ბიოლოგიის, ექსპერიმენტული ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის, ისტორია- მხარეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ტურიზმისა და ალპინიზმის, ქართული ლიტერატურის, ქართული ენა-ონომასტიკის, ფოლკლორის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფსიქოლოგია-ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის, უცხო ენებისა და ლიტერატურის, ინტერნაციონალური აღზრდის, ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, კომკავშირული მუშაობის, საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული მუშაობის, ხელოვნებათმცოდნეობის, საყოფაცხოვრებო ესთეტიკის, გასართობებისა და მასობრივი მუშაობის სექციებმა.

სხდომები მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ლიტერატურისა და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის პრეზიდიუმის, საქართველოს კომკავშირის ისტორიის, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს კლუბში და სამგორ-სართიჭალის ნავთობის საბადოს ბაზაზე.

სექციურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახელოვანმა მეცნიერებმა, რომლებმაც კარგი შეფასება მისცეს მოსწავლეთა მიერ დამუშავებულ საკითხებს და დაუსახეს მათ გზები მეცნიერების სხვადასხვა სფეროში შემდგომი ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

ადგილებზე გაწეული მუშაობა დაეხმარა მოსწავლეებს კავშირი დაემყარებინათ სამეცნიერო ცენტრებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, წარმოება-დაწესებულებებთან, რაზედაც მეტყველებენ მათ მიერ უმაღლეს სასწავლებლებში, კვლევით ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, საცდელ სადგურებში და სხვ. შესრულებული ნამუშევრები.

ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების, კომკავშირული მუშაობის, საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიისა და პიონერული მუშაობის, ინტერნაციონალური აღზრდის სექციებზე წარმოდგენილ ნაშრომებში გამოიკვეთა დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავისა და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-12 მსოფლიო ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებული საქმიანობა რაზმებსა და რაზმეულებში, მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა შრომითი საქმეების ხუთწლედსა და ნორჩ ლენინელთა მარშის მარშრუტებზე. აღსანიშნავია ის, რომ ბევრი ნაშრომი მიეძღვნა სკკპ 26-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომას მე-11 ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მხატვრული აზროვნებით და აქტუალობით გამოირჩევა ქართული ლიტერატურის, ქართული ენა-ონომასტიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენებისა და ლიტერატურის, ფოლკლორის, ფსიქოლოგია-ფილოსოფიის და სამართალმცოდნეობის სექციებზე შემოსული მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ქართული, რუსული, საბჭოთა და მსოფლიო მხატვრული ნაწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებების შინაარსის საფუძვლიანად შესწავლასა და ანალიზზე, მოუკიდებელი ლოგიკური აზროვნების, გრამატიკული წესებისა და კანონების წერისა და ზეპირი მეტყველების პროცესში გამოყენების უნარ-ჩვევათა გამომუშავებაზე. მოსწავლეთა უმეტესობამ გამოამჟღავნა ენის კანონებისა და წესების პრაქტიკულად გამოყენების ჩვევები, სხვადასხვა ლიტერატურული მასალიდან სათანადო ადგილების თარგმნის, აზრის მოხმობის და გაგების, თხზულებასთან მისი მისადაგების სათანადო უნარი.

ყურადღებას იპყრობს მოსწავლეების მიერ მიკვლეული და ჩაწერილი ლექსები, თხზულებები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები და სხვა ფოლკლორული მასალა. საკმაო ადგილი დაიკავეს ისეთმა თემებმა, როგორიცაა: ზოგადი, სოციალური, გამოყენებითი და კრიმინალისტიკის მნიშვნელოვანი საკითხები.

ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, რადიოსა და ასტრონომიის სექციებში აისახა მოსწავლეთა პრაქტიკული და ექსპერიმენტული საქმიანობა ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: ლაზერები, მათემატიკური სოფიზმები, ქიმია და მედიცინა, რადიოაპარატურის მინიატურიზაციის თანამედროვე პრობლემები, ლაზერების გამოყენება სახალხო მეურნეობაში და მრავალი სხვა. ნაშრომებს თან ახლდა მოდელები, დიაგრამები და მონოგრამები.

მეცნიერული აზროვნებით, ჩატარებული საკვლევაძიებო სამუშაოებით მიღებული შედეგების ანალიზის ორიგინალური ხორცშესხმით გამოირჩევა ისტორია-მხარეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიის და ალპინიზმის სექციებზე შემოსული მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ სოციალისტური ყოფის არსებით მხარეებს, საკუთარი კუთხის ისტორიას, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, გეოლოგიურ აგებულებას, ეკონომიკის დახასიათებას, ახალმშენებლობებს, ძველი და ახალი ყოფის ზნე-ჩვეულებებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის საკითხს, მოსახლეობაში გაფანტული დოკუმენტების შეგროვებას, რაიონის გეოგრაფიულ და კომპლექსურ დახასიათებას, ტურიზმისა და ალპინიზმის ისტორიას, განვითარების პერსპექტივებს.

ბიოლოგიის, ექსპერიმენტული ბიოლოგიის და სოფლის მეურნეობის სექციებზე გამოვლინდა მოსწავლეების მიერ ჩატარებული პრაქტიკული მუშაობის შედეგები, მოხსენებებში გაშუქებულია, როგორც ბოტანიკის, ზოოლოგიის, ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის, გენეტიკის, კოსმოსური და სამედიცინო ბიოლოგიის, ასევე ბუნების დაცვის, სოფლის მეურნეობის, ფენოლოგიური დაკვირვებებისა და სასურსათო პროგრამის განხორციელების მრავალი აქტუალური საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემატურად მრავალმხრივი და საინტერესო საკითხები იყო გაშუქებული ხელოვნებათმცოდნეობის და საყოფაცხოვრებო ესთეტიკის სექციებში, რომელთა დიდი ნაწილი ეხებოდა ქართული საბჭოთა თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეებს, მსოფლიო თეატრისა და კინოს ვარსკვლავებს, ისტორიულ თემებზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებს, მიღწევებს მუსიკალურ და თეატრალურ ხელოვნებაში, საყურადღებოა ის, რომ მოსწავლეთა ნაწილი დაინტერესებულია საცხოვრებელი ბინის გაფორმებისა და მოწყობის საკითხებით, ჩაცმულობის კულტურით, ეროვნული კულინარიით, ქსოვილთა წარმოებაში ნაციონალური ორნამენტების გამოყენებით და სხვა.

შესრულების მაღალი დონით გამოირჩეოდა მახარაძის, სიღნაღის, სამტრედიის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, ვანის, ახალციხის, ლენტეხის (რაიონული), ქუთაისის, გორის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს, ჭიათურის (საქალაქო) და აჭარის (საოლქო) საორგანიზაციო კომიტეტების მიერ შერჩეული და რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოსწავლეთა ნაშრომები.

აღსანიშნავია თბილისის 1-ლი, მე-14, 26-ე, 33-ე, 37-ე, 42-ე, 44-ე, 47-ე, 55-ე, 61-ე, 68-ე, 112-ე, 129-ე, 131-ე, 150-ე, 151-ე, 162-ე, 174-ე საშუალო სკოლების აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში.

მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიმჩნეოდა რიგი ნაკლოვანებები. კონფერენციის საქმიანობაში წლების განმავლობაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ: ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყაზბეგისა და წალკის რაიონები, მცირერიცხოვანი ნაშრომები იყო: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, ასპინძის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, მესტიის, ქარელისა და ჩხოროწყუს რაიონებიდან. ბოლნისის რაიონი მხოლოდ 2 ნაშრომით იყო წარმოდგენილი.

ნაწილი ნაშრომებისა ვერ აკმაყოფილებდა კონფერენციის მოთხოვნებს, სათანადოდ ვერ პასუხობდა იმ ამოცანებს, რომელიც დებულებით არის გათვალისწინებული. მათი დაბალი დონე განპირობებულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ადგილებზე, სკოლებში პედაგოგებმა სათანადო დახმარება არ გაუწიეს დაინტერესებულ მოსწავლეებს თემების შერჩევისა და დამუშავების საქმეში. დაუმსახურებლად მიეცა რაიონული საორგანიზაციო კომიტეტის რეკომენდაცია თელავის, ქარელის, ცხაკაიას, გარდაბნის, ადიგენისა და ახმეტის რაიონების სკოლების ზოგიერთ მოსწავლეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არ ჩატარებულა სასკოლო, რაიონული და საქალაქო კონფერენციები, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილა საორგანიზაციო კომიტეტები, რაც მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისადმი რიგი განათლების, კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების არასათანადო ყურადღებამ განაპირობა.

მოისუსტებს კლასგარეშე მუშაობა სამართალმცოდნეობის, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის, ესთეტიკის, ასტრონომიის, ტურიზმისა და ალპინიზმის ხაზით. საჭიროა ამ საქმიანობაში მოსწავლეთა ფართოდ მოზიდვა და ჩაბმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ძირითადად მოწონებულ იქნას საქმიანობა, რომელიც რესპუბლიკის კომკავშირის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, განათლების განყოფილებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ გასწიეს მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

2. მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე საუკეთესო ნაშრომების წარმოდგენისათვის დაჯილდოვდეს:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით 310 მოსწავლე;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს II ხარისხის დიპლომით 550 მოსწავლე;

გ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომით 60 კოლექტივი, სკოლისგარეშე დაწესებულება, წრე და პედაგოგი;

დ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სიგელით 8 მოსწავლე;

ე) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით 34 მოსწავლე.

3. წლების განმავლობაში სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმის, კონფერენციის მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისა და წარმატებების მოპოვებისათვის დაჯილდოვდეს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ 7 პედაგოგი (დანართი 1).

4. დამტკიცდეს მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდეს 1986 წლის აპრილში, მისი ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, კომკავშირის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნებს:

ა) უმოკლეს დროში განიხილონ მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და მეცნიერულ დონეზე ჩასატარებლად;

ბ) 1985 წლის 1 ოქტომბრამდე შექმნან ადგილებზე მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩამტარებელი საოლქო, საქალაქო, რაიონული და სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები;

გ) სისტემატურად ჩაატარონ სკოლის დირექტორების, მეთოდისტების, კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების თათბირები იმ მიზნით, რომ მეტი ყურადღება მიექცეს კონფერენციაში მოსწავლეთა ჩაბმას და შიდასასკოლო, რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციების ჩატარებას;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილებზე თემების შერჩევას, დამუშავებასა და მათ რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენას, დამტკიცებული განრიგის ზუსტი დაცვით (დანართი 3).

7. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს კონფერენციის ჩატარებაში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა (ამხ. ჰ. თუთბერიძემ უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატში 150 ადგილის გამოყოფა).

9. დაევალოს გაზეთების „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელის“ რედაქციებს გააშუქონ მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მზადებისა და მუშაობის პროცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს გააშუქოს კონფერენციის მსვლელობისა და სექციური სხდომების მუშაობის მიმდინარეობის ძირითადი მომენტები.

11. დამტკიცდეს 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ხარჯთაღრიცხვა.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ლორთქიფანიძე**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ე. ხარაძე**

დანართი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულთა სია:

1. ნ. ძიძიგური — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის კაბინეტის მეთოდისტი
2. მ. ქავზიანიძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერული მუშაობის კაბინეტის მეთოდისტი
3. ს. მეტრეველი — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი
4. გ. ძოწენიძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი
5. ე. მელაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ესთეტიკური განყოფილების მეთოდისტი
6. ა. გელაძე — ხულოს რაიონის ალ. ქონიაძის სახელობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
7. ლ. თოდუა — ჩოხატაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე

დანართი 2

### მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

1. ხარაძე ე. პ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (თავმჯდომარე)
2. დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ჟღენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
5. კოლონია თ. ი. — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი
6. წულუკიძე ვ. მ. — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი
7. ფუხაევა ფ. პ. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე
8. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

9. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

10. სუჯაშვილი კ. ა. — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი

11. ალავერდაშვილი ა. ვ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერული მუშაობის განყოფილების გამგე

12. მელაძე ჰ. ვ. — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე

13. გოდერძიშვილი ნ. ი. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე

14. დანიელაშვილი ლ. ი. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე

15. ხუტულაშვილი გ. ვ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე

16. მთვარაძე გ. ვ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოლიტმასობრივი მუშაობის კაბინეტის გამგე

17. ხანიაშვილი ნ. რ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე

18. კასრაძე ა. დ. — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საგამომცემლო სექტორის გამგე

დანართი 3

### რაიონებში გამარჯვებული 41-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის თემების საორგანიზაციო კომიტეტში ჩაბარების განრიგი

1. აფხაზეთის ასსრ — 1986 წლის 17 თებერვალი
2. აჭარის ასსრ — 1986 წლის 16 თებერვალი
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — 1986 წლის 16 თებერვალი
4. ქ. გორი — 1986 წლის 16 თებერვალი
5. ქ. ზუგდიდი — 1986 წლის 16 თებერვალი
6. ქ. ქუთაისი — 1986 წლის 16 თებერვალი
7. ქ. ფოთი — 1986 წლის 3 თებერვალი
8. ქ. რუსთავი — 1986 წლის 3 თებერვალი
9. ქ. ტყიბული — 1986 წლის 3 თებერვალი
10. ქ. წყალტუბო — 1986 წლის 3 თებერვალი
11. ქ. ჭიათურა — 1986 წლის 3 თებერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. აბაშის რაიონი — 1986 წლის 5 თებერვალი
13. ადიგენის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
14. ამბროლაურის რაიონი — 1986 წლის 10 თებერვალი
15. ასპინძის რაიონი — 1986 წლის 10 თებერვალი
16. ახალქალაქის რაიონი — 1986 წლის 10 თებერვალი
17. ახალციხის რაიონი — 1986 წლის 10 თებერვალი
18. ახმეტის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
19. ბოგდანოვკის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
20. ბოლნისის რაიონი — 1986 წლის 5 თებერვალი
21. ბორჯომის რაიონი — 1986 წლის 5 თებერვალი
22. ვანის რაიონი — 1986 წლის 5 თებერვალი
23. გარდაბნის რაიონი — 1986 წლის 5 თებერვალი
24. გეგეჭკორის რაიონი — 1986 წლის 6 თებერვალი
25. გორის რაიონი — 1986 წლის 6 თებერვალი
26. გურჯაანის რაიონი — 1986 წლის 6 თებერვალი
27. დუშეთის რაიონი — 1986 წლის 6 თებერვალი
28. დმანისის რაიონი — 1986 წლის 7 თებერვალი
29. ზესტაფონის რაიონი — 1986 წლის 7 თებერვალი
30. ზუგდიდის რაიონი — 1986 წლის 7 თებერვალი
31. ყაზბეგის რაიონი — 1986 წლის 7 თებერვალი
32. ქარელის რაიონი — 1986 წლის 7 თებერვალი
33. კასპის რაიონი — 1986 წლის 8 თებერვალი
34. ყვარლის რაიონი — 1986 წლის 8 თებერვალი
35. ლაგოდეხის რაიონი — —1986 წლის 8 თებერვალი
36. ლანჩხუთის რაიონი — 1986 წლის 9 თებერვალი
37. ლენტეხის რაიონი — 1986 წლის 9 თებერვალი
38. მარნეულის რაიონი — 1986 წლის 9 თებერვალი
39. მახარაძის რაიონი — 1986 წლის 11 თებერვალი
40. მაიაკოვსკის რაიონი — 1986 წლის 11 თებერვალი
41. მესტიის რაიონი — 1986 წლის 11 თებერვალი
42. მცხეთის რაიონი — 1986 წლის 11 თებერვალი
43. ონის რაიონი — 1986 წლის 12 თებერვალი
44. საგარეჯოს რაიონი — 1986 წლის 12 თებერვალი
45. ორჯონიკიძის რაიონი — 1986 წლის 12 თებერვალი
46. სამტრედიის რაიონი — 1986 წლის 13 თებერვალი
47. საჩხერის რაიონი — 1986 წლის 13 თებერვალი
48. სიღნაღის რაიონი — 1986 წლის 13 თებერვალი
49. თელავის რაიონი — 1986 წლის 14 თებერვალი
50. თეთრი წყაროს რაიონი — 1986 წლის 14 თებერვალი
51. თიანეთის რაიონი — 1986 წლის 15 თებერვალი
52. თერჯოლის რაიონი — 1986 წლის 14 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. ხაშურის რაიონი — 1986 წლის 15 თებერვალი
54. ხობის რაიონი — 1986 წლის 15 თებერვალი
55. ცაგერის რაიონი — 1986 წლის 15 თებერვალი
56. წალენჯიხის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
57. წალკის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
58. წითელწყაროს რაიონი — 1986 წლის 16 თებერვალი
59. წულუკიძის რაიონი — 1986 წლის 17 თებერვალი
60. ცხაკაიას რაიონი — 1986 წლის 17 თებერვალი
61. ჩოხატაურის რაიონი — 1986 წლის 17 თებერვალი
62. ჩხოროწყუს რაიონი — 1986 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

1. ლენინის რაიონი — 1986 წლის 1 თებერვალი
2. კალინინის რაიონი — 1986 წლის 1 თებერვალი
3. ორჯონიკიძის რაიონი — 1986 წლის 2 თებერვალი
4. საბურთალოს რაიონი — 1986 წლის 2 თებერვალი
5. კიროვის რაიონი — 1986 წლის 3 თებერვალი
6. 26 კომისრის რაიონი — 1986 წლის 3 თებერვალი
7. საქარხნო რაიონი — 1986 წლის 3 თებერვალი
8. გლდანის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
9. ოქტომბრის რაიონი — 1986 წლის 4 თებერავლი
10. პირველი მაისის რაიონი — 1986 წლის 4 თებერვალი
11. თბილისის ექსპერიმენტული სკოლები — 1986 წლის 5 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან სკოლა-ინტერნატებთან გახსნილი სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ცალკეული ჯგუფების პირველი გამოშვების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესასრულებლად და რესპუბლიკის მზარდი სახალხო მეურნეობის კვალიფიკაციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის წვლილის შემდგომი გაზრდის მიზნით, 1982—1983 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის მთისა და მთისწინა რაიონების რამდენიმე სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გაიხსნა პროფტექსასწავლებლები და პროფტექნიკური სწავლების ცალკეული ჯგუფები, სადაც პროფესიული სწავლების პროფილები განისაზღვრა რეგიონების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების კონკრეტული ამოცანების შესაბამისად კვალიფიციურ მუშახელზე სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

მიმდინარე სასწავლო წელს მესტიის, ლენტეხის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატების ბაზაზე, პირველი სამწლიანი ციკლის გავლის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მომზადდა 259 კვალიფიციური მუშა, რომელთა დიდ უმრავლესობას ამავე ინტერნატული დაწესებულებების რვაკლასდამთავრებული მოსწავლეები შეადგენენ.

ექსპერიმენტმა შესაძლებლობა მოგვცა სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულებმა ადგილზევე, ოჯახისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ სრული საშუალო განათლება და მასთან ერთად კვალიფიციური მუშის პროფესიაც. ეს კი თავის მხრივ მიგრაციის შემცირების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წინამძღვარი გახდა.

მესტიის, ლენტეხისა და ქედის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებმა და ჩხოროწყუს რაიონის მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ, რომლებიც ინტერნატებთან შექმნილი პროფტექსასწავლებლების საბაზო საწარმოებად ითვლებიან, სამწლიანი სასწავლო და საწარმოო პროგრამის გავლის შედეგად 259 კვალიფიციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-სპეციალისტი მიიღეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კვალიფიციური მუშის რანგში თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ამასთან, როგორც ექსპერიმენტით იყო ნაგულისხმევი, განმტკიცდა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიქმნა პედაგოგთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სტაბილური კოლექტივები.

ექსპერიმენტის მიმდინარეობის სამი წლის მანძილზე ლენტეხის, მესტიის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატებში თანამედროვე მოთხოვნების დონეზე 14 კაბინეტ-ლაბორატორია მოეწყო, დიდი რაოდენობით შემოტანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებები. ამდენად, დღეისათვის აღნიშნულ დაწესებულებებს შრომითი სწავლების მტკიცე მატერიალური ბაზა და მწარმოებლური შრომის ორგანიზების ყველა აუცილებელი პირობა გააჩნიათ.

ექსპერიმენტი წარმატებით გრძელდება. დღეს სკოლა-ინტერნატებთან მოქმედ პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და პროფტექნიკური სწავლების ჯგუფებში 730 მოსწავლე ფართო პროფილის მექანიზატორის (მძღოლის უფლების მინიჭებით), სოფლის მეურნეობის ელექტრომონტიორის, მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორის, მღესავ-მლებავის, ვეტერინარ-ფერშლის, საბუღალტრო აღრიცხვისა და სხვა პროფესიებს ეუფლება.

ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლა-ინტერნატების ბაზაზე ორგანიზებულ პროფტექნიკურ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა განთესვამ გასულ სამ წელიწადში 1,7% შეადგინა, რაც პროფტექნიკური განათლების სისტემის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7-ჯერ ნაკლებია. გარდა ამისა, სამი წლის მანძილზე მესტიის, ლენტეხის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის პროფტექნიკური სწავლების მოსწავლეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის არც ერთ შემთხვევას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აღნიშნული ექსპერიმენტი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების განხორციელების საწყის ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვალიფიციური მუშა კადრების მომზადების ერთ-ერთ კარგად მიგნებულ ფორმად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან, სკოლა-ინტერნატის ბაზაზე პროფტექნიკური სწავლების ორგანიზაციის საქმეში ბევრი საკითხი მოუგვარებელია. დღემდე შეუსრულებელია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები სკოლა-ინტერნატებთან შექმნილი პროფტექნიკური სასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლების სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, სწავლების ტექნიკური და საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ. ვერ გადაწყდა სკოლა-ინტერნატების დირექტორებისათვის ხელფასის დანამატის დაკანონების საკითხი.

მესტიისა და ლენტეხის რაიონების სკოლა-ინტერნატებში სრულყოფას მოითხოვს პროფესიულ-ტექნიკური სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს სასწავლო სახელოსნოების შენობა-ნაგებობანი.

მოისმინა რა რესპუბლიკის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან სკოლა-ინტერნატებთან შექმნილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ცალკეული ჯგუფების მიერ კვალიფიციურ მუშათა კადრების პირველი გამოშვების შედეგები, კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მესტიის, ლენტეხის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის რვაწლიან სკოლა-ინტერნატებთან გახსნილი სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ჯგუფების მიერ კვალიფიციური მუშათა კადრების პირველი გამოშვების შედეგები ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

2. მესტიის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ჩხოროწყუს და ქედის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა დააწესონ სათანადო კონტროლი და აღმოუჩინონ დახმარება სკოლა-ინტერნატებთან მოქმედ პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და პროფტექნიკურ ჯგუფებს.

— პერიოდულად შეისწავლონ მათი საქმიანობა და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად.

— გაატარონ ღონისძიებები აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3. მესტიის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა პროფტექნიკური სასწავლებლების მუშაობა წარმართონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებების (1981 წლის 29 დეკემბრის № 873, 453 და 1983 წლის 7 ივნისის № 13/18) სრული შესაბამისობით. შემოქმედებითად მიუდგნენ მუშათა კადრების სწავლებისა და აღზრდის საქმეს, სწავლების თანამედროვე მეთოდების ფართო დანერგვის გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის შემდგომ ზრდას:

3. 1. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათში შრომისადმი სიყვარულისა და შრომითი ჩვევების გამომუშავებას; სწორად განსაზღვრონ შრომითი და პროფესიული სწავლების პროფილები, მიუსადაგონ ისინი რეგიონში არსებულ მსხვილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პროფილებს; ფართოდ დანერგონ მწარმოებლური შრომა. არსებული ბაზის გათვალისწინებით, პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ პროფტექნიკურ სასწავლებლებში (ჯგუფებში) რვაკლასდამთავრებულთა ჩარიცხვის საკითხი;

3. 2. იზრუნონ სასწავლო-მატერიალური ბაზის და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი სრულყოფისათვის, გამოიყენონ ამ მიზნით საბაზო საწარმოებისა და შეფი ორგანიზაციების ეკონომიკური შესაძლებლობანი;

3. 3. ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს სამინისტროს შესაბამის სამმართველოში წარმოადგინონ ანგარიში პროფტექნიკური სასწავლებლების (ჯგუფების) მუშაობის შესახებ.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად 1985 წლის 1 სექტემბრამდე გადაწყვიტოს სკოლა-ინტერნატების დირექტორებისათვის დამატებითი მატერიალური ანაზღაურების საკითხი.

5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს მესტიის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატები საწარმოო მოწყობილობებით, ავეჯით და რბილი ინვენტარით.

6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად იზრუნოს აღნიშნული ინტერნატული დაწესებულებების მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად. შესაძლებლობის მიხედვით გამოუყოს მათ საჭირო სამშენებლო მასალები.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) წარდგენილი განაცხადების შესაბამისად დააკომპლექტოს აღნიშნული სკოლა-ინტერნატები სათანადო პედაგოგიური და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით:

— საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით უზრუნველყოს მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. პ. თუთბერიძე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერნატებთან არსებული პროფტექნიკური სასწავლებლებისა და პროფტექნიკური ჯგუფების მუშაობაზე. იზრუნოს მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული, სამედიცინო მომსახურებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის:

8. 1. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიაღწიოს საწარმოო სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას. რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმების გათვალისწინებით განსაზღვროს პროფესიული სწავლების პროფილები;

8. 2. ექსპერიმენტის უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით, 1985 წლის 30 დეკემბრამდე წარმოადგინოს წინადადებები სოფლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების ბაზაზე პროფტექნიკური სწავლების ორგანიზების შესახებ.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებებით (1981 წლის 29 დეკემბრის № 873, 453 ბრძანებებისა და 1983 წლის 7 ივნისის № 13/18) გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი Ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებში 1984 წელს კოლეგიაზე განსახილველი საკითხებისა და კოლეგიის გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ

კოლეგიამ, მოისმინა რა საორგანიზაციო-პედაგოგიური განყოფილების უფროსის ამხ. თ. ჩუბინიძის ინფორმაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებში 1984 წელს კოლეგიაზე განსახილველი საკითხებისა და კოლეგიის გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმების შესახებ, გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

1. 1. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი კოლეგიის კვარტალურ სამუშაო გეგმაში შეტანილი საკითხების მინიშნებულ ვადაში მოსამზადებლად;

1. 2. არ დაუშვან კოლეგიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხის შეცვლა ან მომდევნო კვარტალში გადატანა კოლეგიის გადაწყვეტილების გარეშე;

1. 3. გააპიროვნონ ქვეგანაყოფის მუშაკი კოლეგიის გადაწყვეტილებების შესრულებაზე სისტემატური კონტროლის განსახორციელებლად.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი თ. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## об итогах проверки выполнения управлениями и отделами Минпроса ГССР вопросов, подлежащих рассмотрению на коллегии за 1984 год

**15 июля 1985 года**

Коллегия, выслушав информацию начальника Организационно-педагогического отдела тов. Т. А. Чубинидзе, об итогах проверки выполнения управлениями и отделами Минпроса ГССР вопросов, подлежащих рассмотрению на коллегии за 1984 год, решает:

1. Начальникам управлений и отделов:

1. 1. провести действенные меры для обеспечения подготовки проектов решений по вопросам, внесенным в квартальный план работы коллегии в установленный срок;

1. 2. не допускать без соответствующего решения коллегии замену или перенос на последующий квартал вопроса, предусмотренного планом работы коллегии;

1. 3. выделить работника подразделения с целью осуществления систематического контроля над выполнением принятых коллегией решений.

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. КИНКЛАДЗЕ**

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე
22 ივლისი 1985 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს თავისი დარგის ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისას კოლეგიალობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ვალდებულია გაუწიოს მინისტრს ყოველმხრივი დახმარება სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზებაში.

კოლეგია მინისტრთან ერთად სამინისტროს ხელმძღვანელობას წარმოადგენს.

კოლეგიის საქმიანობისადმი კონტროლს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს.

2. კოლეგია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და აგრეთვე ამ დებულებით.

3. კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს შემდეგ საკითხებს:

— დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები;

— მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მდგომარეობა და მისი ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება;

— სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესება;

— სახალხო განათლების დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის ფართოდ დანერგვა;

— გეგმების შესრულების უზრუნველყოფა, შრომის ხარისხის და ეფექტიანობის ამაღლება, საფინანსო-საბიუჯეტო და საშტატო დისციპლინის დაცვა;

— სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, მუშაობის მოწინავე გამოცდილების დანერგვა, მორალური და მატერიალური სტიმულის გამოყენება, შრომის პირობების, მისი დაცვისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გაუმჯობესების კომპლექსური გეგმების შემუშავება (ამ საკითხებს კოლეგია განიხილავს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად);

— სახალხო განათლების დარგის განვითარებისა და საჭიროებისათვის გამოყოფილი სახსრების სრული ათვისება;

— სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის განმტკიცება;

— პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა, მინისტრის ბრძანებათა და თავის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება;

— კადრების შერჩევა, განაწილება, აღზრდა, სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება, დაკისრებული საქმისადმი მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება, ხელმძღვანელი კადრების მმართველობითი საქმიანობის თეორიითა და პრაქტიკით შეიარაღება, დასანიშნად ან გასანთავისუფლებლად იმ მუშაკთა წარდგენა, რომელთა თანამდებობანი შესულია სამინისტროს ნომენკლატურაში;

—პარტიის ყრილობებზე, კონფერენციებზე, პლენუმებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე, აგრეთვე პრესაში, პირველადი ორგანიზაციების კრებებზე, შრომითი კოლექტივების მუშათა კრებებზე, სამინისტროში შემოსულ მოქალაქეთა წერილებში სამინისტროს მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირება;

— შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვა, ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის შემცირება;

— მოქალაქეთა წერილებზე მუშაობა და მათი მიღება;

— მივლინებათა შედეგიანობის ამაღლება;

— კოლეგიის საქმიანობის, აგრეთვე მიკუთვნებული სამუშაო უბნის ხელმძღვანელობისათვის კოლეგიის წევრთა მუშაობის გაუმჯობესება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან.

4. კოლეგია მოისმენს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოხსენებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. კოლეგიის შემადგენლობა

5. კოლეგია იქმნება მინისტრის (კოლეგიის თავმჯდომარე), თანამდებობის მიხედვით მისი მოადგილეებისა და აგრეთვე სამინისტროს განსაკუთრებით მსხვილი და მნიშვნელოვანი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა შემადგენლობით. სამინისტროს მუშაკთა გარდა, კოლეგიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან მომიჯნავე სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სახალხო განათლების საოლქო, სარაიონო, საქალაქო განყოფილებების (სამმართველოს) ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კოლეგიის შემადგენლობას განათლების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,

კოლეგიის საქმისწარმოებასა და მის პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს კოლეგიის მდივანი ანხორციელებს.

## III. კოლეგიის მუშაობის დაგეგმვა

6. კოლეგიის მუშაობის დაგეგმვა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საშუალებას სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის.

კოლეგიის საქმიანობა წარიმართება სახალხო განათლების დარგის განვითარების ძირითად საკითხებზე მუშაობის პერსპექტიული გეგმების, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებისა და მუშაობის მიმდინარე (კვარტალური) გეგმების შესაბამისად.

7. კოლეგიის მუშაობის მიმდინარე (კვარტალური) გეგმების პროექტების შედგენა ხორციელდება სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა მუშაობის პერსპექტიული (წლიური) გეგმების შესაბამისად.

8. სამმართველო-განყოფილებათა მუშაობის მიმდინარე (კვარტალური) გეგმების გარშემო მინისტრისა და მისი მოადგილეების მიერ გამოთქმულ წინადადებებს მომდევნო კვარტალის წინა თვის 1-ლ რიცხვამდე ანზოგადებს კოლეგიის მდივანი, რომელიც ადგენს კოლეგიის მუშაობის მიმდინარე (კვარტალური) გეგმის პროექტს და შეაქვს იგი დასამტკიცებლად.

9. კოლეგიის მუშაობის მიმდინარე (კვარტალური) გეგმები დამტკიცების შემდეგ ეგზავნებათ: მინისტრს, მის მოადგილეებს, სამმართველო-განყოფილებათა უფროსებსა და მათ მოადგილეებს, აგრეთვე საქართველოს კპ ცკ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის განყოფილებებს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ზონის ინსპექტორს მომდევნო კვარტალის წინა თვის 25 რიცხვამდე.

10. კონტროლს კოლეგიის მუშაობის მიმდინარე (კვარტალური) გეგმების შესრულებაზე ახორციელებენ მინისტრი, მისი მოადგილეები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად.

11. კოლეგიის მდივანი, როგორც წესი, ყოველკვარტალურად მოახსენებს მინისტრს გეგმის შესრულების მსვლელობის შესახებ.

12. მუშაობის გეგმებიდან საკითხების ამოღება ნებადართულია მხოლოდ კოლეგიის გადაწყვეტილებით.

### IV. კოლეგიაზე განსახილველად გასატანი საკითხების მომზადების წესი

13. სამინისტროს კოლეგიის სხდომები წარმოადგენს მისი საქმიანობის ძირითად ორგანიზაციულ-უფლებრივ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ამოცანების კოლეგიალურ განხილვასა და მათ შესასრულებლად გადაწყვეტილებათა მიღებას.

14. კოლეგიის სხდომებს იწვევს მინისტრი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

15. კოლეგიის სხდომები ტარდება აუცილებლობისდა მიხედვით, მაგრამ თვეში არა ნაკლებ ორისა. სხდომათა ჩატარების დღე, როგორც წესი, ხუთშაბათია. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა კოლეგიის გაფართოებული სხდომები, სახალხო განათლების დარგის მუშაკთა ფართო წრის მონაწილეობით, ტარდება გამსვლელი სხდომები საკითხების ოპერატიული წესით ადგილზე განსახილველად და გადასაწყვეტად, აგრეთვე, ერთობლივი სხდომები სხვა სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებთან (როცა საკითხის ერთობლივი განხილვა გამოწვეულია საერთო ინტერესებით) და მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილებები განხილული საკითხების გარშემო.

16. კოლეგიის გადაწყვეტილებათა პროექტები წინასწარ ვიზირებული უნდა იყოს სამინისტროს დაინტერესებულ სამმართველო-განყოფილებათა უფროსებისა და იურიდიული განყოფილების მიერ.

გადაწყვეტილებათა პროექტების შეთანხმებას ახორციელებს ის ქვეგანყოფილება, რომელმაც ისინი მოამზადა.

17. კოლეგიის გადაწყვეტილებათა პროექტები უნდა იყოს ზუსტი, მოკლე და კონკრეტული, შეიცავდეს განსახილველი საკითხის ამომწურავ და პრინციპულ შეფასებას, გასაგებად გადმოსცემდეს მისაღები აქტის მიზნებსა და ამოცანებს, ზუსტად განსაზღვრავდეს შემსრულებლებსა და შესრულების რეალურ ვადებს.

18. კოლეგიის გადაწყვეტილების პროექტს თან დაერთვის:

ა) განმარტებითი ბარათი, რომელიც ზუსტად და კონკრეტულად მიუთითებს მოცემული აქტის ცხოვრებაში გატარების გზებსა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებებზე, უშუალოდ იმ წყაროებზე, რომელთა ხარჯზეც ნავარაუდევია დაპროექტებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება. შეიცავს ცნობებს არსებულ აზრთა სხვაობისა და მათთან იმ პირთა დამოკიდებულების შესახებ, რომლებმაც პროექტი მოამზადეს;

ბ) ცნობათა ასლები შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების შესახებ;

გ) განსახილველი საკითხის გარშემო კოლეგიის სხდომაზე მოსაწვევ პირთა სია (მათი თანამდებობების აღნიშვნით),

19. საკითხები სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე განსახილველად შემოაქვთ მინისტრს, მის მოადგილეებს, სამმართველო-განყოფილებათა უფროსებსა და მათთან გათანაბრებულ სამინისტროს სხვა მმართველობით ორგანოებს.

20. კოლეგიაზე განსახილველად საკითხის შემოტანამდე გადაწყვეტილებათა პროექტებს, როგორც წესი, წინასწარ განიხილავს მინისტრის შესაბამისი მოადგილე და ახდენს მათ ვიზირებას რეზოლუციით „კოლეგიაზე“.

## V. სამინისტროს კოლეგიის სხდომათა ჩატარების წესი

21. კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლეგიის წევრთა ნახევარზე მეტი.

კოლეგიის სხდომაზე საკითხის განხილვაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა შეუძლიათ სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა, მთავარ სამმართველოთა და მათთან გათანაბრებულ სხვა მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელებს. კოლეგიის სხდომებს ესწრებიან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებიდან მოწვეული წარმომადგენლები. კოლეგიას, როგორც წესი, ესწრება ინსპექტორი, რომელმაც საკითხი შეისწავლა და აგრეთვე შესწავლილი ობიექტის ან ზონის ინსპექტორი. კოლეგიის ყოველ სხდომას ესწრებიან იურიდიული განყოფილებისა და საერთო განყოფილების გამგეები ან მათი მოვალეობის შემსრულებელი პირები.

მოწვეულ ან გამოძახებულ პირებს სხდომის ჩატარების დროის შესახებ მინისტრთან შეთანხმების შემდეგ ატყობინებს აპარატის ის ქვეგანყოფილება, რომელმაც პროექტი მოამზადა.

22. კოლეგიის სხდომა მიყავს მინისტრს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — პირველ მოადგილეს. სხდომის დღის წესრიგსა და მუშაობის რეგლამენტს ამტკიცებს კოლეგია სხდომის დასაწყისში.

კოლეგიის სხდომებზე საკითხების განხილვისას მინისტრს, მის მოადგილეებსა და კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ შემოიტანონ წინადადებები დღის წესრიგისა და მუშაობის რეგლამენტის შესახებ და მოითხოვონ მომხსენებლებისაგან განმარტებები განსახილველი საკითხების გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის სხდომაზე დამსწრეთ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში, შემოიტანონ წინადადებები გადაწყვეტილებათა პროექტების შეცვლის, დამატებების შეტანისა ან მათი დამატებითი დამუშავების შესახებ, აუცილებელ შემთხვევებში — შემოიტანონ წინადადებები საკითხის განხილვის კოლეგიის სხვა სხდომაზე გადატანის ან სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ საკითხის დამატებითი შესწავლის შესახებ.

23. კოლეგიის გადაწყვეტილებათა პროექტები ყველა დანართით, მინისტრის, მისი მოადგილეების (მოვალეობათა განაწილების შესაბამისად), კოლეგიის წევრთა, რომლებმაც გადაწყვეტილების პროექტი მოამზადეს, იურიდიული განყოფილებისა და ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის ვიზირებით ბარდება კოლეგიის მდივანს 6 ცალად არა უგვიანეს 6 დღისა სხდომამდე.

საკითხები, რომელთა გადაწყვეტილებათა პროექტები არ იყო წარმოდგენილი დადგენილ ვადაში, კოლეგიის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მინისტრის ნებართვით.

24. კოლეგიის გადაწყვეტილებები მიიღება მის სხდომებზე კოლეგიის საერთო შემადგენლობის დამსწრე წევრთა ხმის უმრავლესობით. მიღებულ გადაწყვეტილებათა საბოლოო რედაქტირება უნდა მოხდეს სხდომის შემდეგ 3 დღის ვადაში.

გადაწყვეტილების პროექტის თავდაპირველ ტექსტში არსებითი ცვლილებების შეტანისას, მისი საბოლოო რედაქტირების შემდეგ, იგი კვლავ კოლეგიაზე განიხილება, კოლეგიის გადაწყვეტილებებს ხელს აწერს მინისტრი.

25. კოლეგიის გადაწყვეტილებები, როგორც წესი, უნდა გაფორმდეს მინისტრის ბრძანებით და დაყვანილ იქნას შემსრულებლებამდე საერთო განყოფილების მიერ 3 დღის ვადაში.

მინისტრსა და კოლეგიის წევრთა შორის აზრთა სხვაობის შემთხვევაში მინისტრი ატარებს ცხოვრებაში თავის გადაწყვეტილებას, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

26. კოლეგიის სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ მინისტრი და კოლეგიის მდივანი.

### VI. კონტროლი სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი

27. კონტროლი კოლეგიის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ხორციელდება ადგილებზე შემოწმების და შესაბამისი ორგანიზაციებიდან ცნობებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მიღების გზით.

სახალხო განათლების ინსპექცია ყოველკვარტალურად მოახსენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიას სამინისტროს აპარატში, მის სამმართველო-განყოფილებებში, მთავარ სამმართველოსა და მათთან გათანაბრებულ მმართველობით ორგანოებში კოლეგიის გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობისა და მისი კონტროლის ორგანიზების შესახებ.

საქმისწარმოება გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გარშემო ხორციელდება სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

28. მასალები კოლეგიის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ მზადდება სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახალხო განათლების ინსპექციის მიერ და განიხილება კოლეგიაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«Утверждаю»
Министр просвещения Грузинской ССР
О. Д. Кинкладзе
22 июля 1985 г.

# ПОЛОЖЕНИЕ

## о коллегии Министерства просвещения Грузинской ССР

### I. Общие положения

1. Министерство просвещения Грузинской ССР организует свою работу на основе сочетания коллегиальности и единоначалия в обсуждении и решении всех вопросов руководства порученной отраслью.

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР обязана оказывать Министру всемерную помощь в решении вопросов, входящих в компетенцию Министерства, и организации выполнения принятых решений.

Коллегия вместе с Министром составляют руководство Министерства.

Контроль за деятельностью коллегии осуществляется Советом Министров Грузинской ССР.

2. Коллегия в своей деятельности руководствуется Законами СССР, решениями Верховного Совета СССР и его Президиума, Законами Грузинской ССР, решениями Верховного Совета Грузинской ССР и его Президиума, постановлениями и распоряжениями Совета Министров СССР, постановлениями и решениями Совета Министров Грузинской ССР, другими нормативными актами, а также настоящим Положением.

3. Коллегия на своих регулярно проводимых заседаниях рассматривает вопросы:

— перспективных и текущих планов экономического и социального развития отрасли;

— состояния и повышения качества и эффективности обучения и воспитания подрастающего поколения;

— состояния и улучшения работы школ и органов народного образования;

— широкого внедрения в отрасль достижений науки и техники;

— обеспечения выполнения планов, повышения качества и эффективности труда, соблюдения финансово-бюджетной и штатной дисциплины;

— руководства социалистическим соревнованием, внедрения передового опыта работы, применения моральных и материальных стимулов; разработки комплексных планов улучшения условий, охраны труда и санитарно-оздоровительных мероприятий; социально-культурных мероприятий (эти вопросы коллегия обсуждает совместно с Республиканским комитетом профсоюза работников просвещения и научных учреждений);

— полного освоения средств, выделенных для развития и нужд отрасли;

— укрепления государственной и трудовой дисциплины;

— проверки исполнения постановлений партии и правительства, приказов Министра и своих решений;

— подбора, расстановки, воспитания, обучения, повышения квалификации кадров, усиления их ответственности за порученное дело, вооружения руководящих кадров теорией и практикой управленческой деятельности, представления о назначении и освобождении работников, должности которых включены в номенлкатуру Министерства;

— реагирование на критические замечания и предложения в адрес Министерства, высказанные на партийных съездах, конференциях и пленумах, сессиях Верховного Совета Грузинской ССР, а также в печати, на собраниях первычных организаций и рабочих собраниях трудовых коллективов, в письмах граждан, поступающих в Министерство;

— внедрения прогрессивных форм организации труда, сокращения административно-управленческого аппарата;

— работы с письмами и приема граждан;

— повышения результативности командировок;

— улучшения деятельности коллегии, работы членов коллегии по руководству вверенным им участкам работы, борьбы с бюрократизмом и волокитой.

4. Коллегия заслушивает доклады Министров просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующих Юго-Осетинским областным, районными, городскими отделами народного образования, начальника Управления народного образования г. Тбилиси.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## II. Состав коллегии

5. Коллегия образуется в составе Министра (председатель коллегии), его заместителей по должности, а также руководителей наиболее крупных и важных структурных подразделений Министерства. Помимо работников Министерства, в состав коллегии могут быть введены руководящие работники смежных министерств и ведомств, министерств просвещения автономных республик, областного, районных, городских отделов (Управления) народного образования, деятели науки и культуры, представители общественных организаций. Состав коллегии по представлению Министерства просвещения утверждается Советом Министров Грузинской ССР.

Вопрос о численном составе коллегии решается Советом Министров Грузинской ССР.

Делопроизводство коллегии и осуществление организационных мероприятий, связанных с ее практической работой, осуществляет секретарь коллегии.

## III. Планирование работы коллегии

6. Планирование работы коллегии является одним из основных средств организационного обеспечения выполнения стоящих перед Министерством задач.

Деятельность коллегии организуется в соответствии с перспективными планами работы по основным вопросам развития отрасли, другим вопросам деятельности Министерства и текущими (квартальными) планами работы.

7. Проекты текущих (квартальных) планов работы коллегии составляются в соответствии с перспективными (годовыми) планами работы отделов и управлений Министерства.

8. Предложения Министра, его заместителей по текущим (квартальным) планам работы отделов и управлений до I числа месяца, предшествующего очередному кварталу, обобщаются секретарем коллегии, который составляет проект текущего (квартального) плана работы коллегии и вносит его на утверждение.

9. Текущие (квартальные) планы работы коллегии после утверждения направляются: Министру, его заместителям, начальникам отделов, управлений и их заместителям, а также соответствующим отделам Совета Министров Грузинской ССР

и ЦК КП Грузии, зональному инспектору Министерства просвещения СССР до 25 числа месяца, предшествующего очередному кварталу.

10. Контроль за выполнением текущих (квартальных) планов работы коллегии осуществляется Министром, его заместителями в соответствии с распределением обязанностей.

11. Секретарь коллегии, как правило, ежеквартально информирует Министра о ходе выполнения плана.

12. Исключение из планов работы вопросов допускается только по решению коллегии.

## IV. Порядок подготовки вопросов, вносимых на рассмотрение коллегии

13. Заседания коллегии Министерства являются основной организационно-правовой формой его деятельности, обеспечивающей коллегиальное обсуждение стоящих перед ним задач и принятие решений по их выполнению.

14. Созыв заседаний коллегии осуществляется Министром или исполняющим его обязанности.

15. Заседания коллегии проводятся по мере необходимости, но не реже двух раз в месяц. День проведения заседаний, как правило — четверг. В требуемых случаях созываются расширенные заседания коллегии с участием широкого круга работников отрасли, проводятся выездные заседания для рассмотрения и решения в оперативном порядке вопросов отрасли на местах, а также совместные заседания с коллегиями других министерств и ведомств (когда совместное рассмотрение вопроса вызвано общими интересами) и принимаются совместные решения по обсужденным вопросам.

16. Проекты решений коллегии должны быть предварительно завизированы начальниками заинтересованных отделов и управлений, юридическим отделом Министерства.

Согласование проектов решений осуществляется подразделением, которое готовит их.

17. Проекты решений коллегии должны быть четки, лаконичны и конкретны, содержать исчерпывающую и принципиальную оценку обсуждаемого вопроса, ясно формулировать цель и задачи принимаемого акта, точно определять исполнителей и реальные сроки исполнения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. К проекту решения коллегии прилкадывается:

а) объяснительная записка, содержащая точные и конкретные указания о путях и средствах, при помощи которых предлагается проводить данный акт в жизнь, конкретные указания, за счет каких именно источников предполагается провести проектируемые мероприятия в жизнь, сведения об имеющихся разногласиях и об отношении к ним лиц, подготовивщих проект;

б) копии справок о согласовании с соответствующими органами;

в) список лиц, приглашаемых на заседание коллегии по обсуждаемому вопросу (с указанием их должностей).

19. Вопросы для рассмотрения на заседаниях коллегии Министерства вносятся Министром, его заместителями, руководителями отделов, управлений и приравненных к ним других органов управления Миинстерства.

20. До внесения вопроса на обсуждение коллегии проекты решений, как правило, предварительно рассматриваются у соответствующего заместителя Министра визируются им резолюцией «на коллегию».

## V. Порядок проведения заседаний коллегии Министерства

21. Заседание коллегии правомочно, если на нем присутствует более половины членов коллегии.

В заседании коллегии могут принимать участие с правом совещательного голоса руководители отделов, управлений, главных управлений и приравненных к ним других органов управления Министерства, на заседаниях коллегии присутствуют приглашенные представители предприятий, учреждений и организаций, на коллегии, как правило, присутствует инспектор, изучавший вопрос, а также инспектор, курирующий изученный объект или зону. На каждом заседании коллегии присутствуют заведующие юридическим отделом и общим отделом или лица, исполняющие их обязанности.

Оповещение приглашенных или вызванных лиц о времени заседания после согласования с Министром осуществляет подразделение аппарата, подготовившее проект.

22. Заседания коллегии ведутся Министром, а в его отсутствие первым заместителем. Повестка дня заседания и порядок работы утверждаются коллегией в начале заседания.

В процессе обсуждения вопросов на заседаниях коллегии Министр, его заместители и члены коллегии имеют право вносить предложения по повестке дня порядку работы, требовать от докладчиков разъяснения по рассматриваемым вопросам.

Присутствующие на заседании коллегии вправе участвовать в обсуждении вопросов, вносить предложения об изменении, дополнении проектов решений, или об их доработке, в необходимых случаях — вносить предложения о переносе обсуждения вопроса на другое заседание коллегии или о дополнительном изучении вопроса специально созданной комиссией.

23. Проекты решений коллегии со всеми приложениями, визами Министра, его заместителя (в соответствии с распределением обязанностей), членов коллегии, подготовивших проект решения, юридического отдела и всех заинтересованных организаций, сдаются секретарю коллегии в 6 экземплярах не позднее, чем за 6 дней до заседания.

Вопросы, по которым проекты решений не представлены в установленный срок, могут быть включены в проект повестки дня заседания коллегии только с разрешения Министра.

24. Решения коллегии принимаются на ее заседаниях большинством голосов присутсвующих членов общего состава коллегии. Окончательное редактирование принятых решений производится в течение 3-х дней после заседания.

При внесении существенных изменений в первоначальный текст проекта решения, после окончательного редактирования он вновь представляется на рассмотрение коллегии. Решения коллегии подписываются Минитром.

25. Решения коллегии, как правило, должны быть оформлены приказами Министра и доведены общим отделом до исполнителей в 3-х дневный срок.

В случае разногласий между Министром и членами коллегии Министр проводит в жизнь свое решение, а члены коллегии в свою очередь могут сообщить свое мнение Совету Министров Грузинской ССР.

26. Протоколы заседаний коллегий подписываются Министром и секретарем коллегии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## VI. Контроль за исполнением решений коллегии Министерства

27. Контроль за исполнением решений коллегии осуществляется путем проверки на местах, получения справок и других информационных материалов у соответствующих организаций.

Инспекция народного образования ежеквартально информирует коллегию о ходе выполнения решений и организации контрольной работы в аппарате Министерства, его отделах, управлениях, главных управлениях и других, приравненных к ним органах управления.

Ведение делопроизводства по контролю за выполнением решений осуществляется в соответствии со специальной инструкцией.

28. Материалы о выполнении решений коллегии подготавливаются структурными подразделениями аппарата Министерства, Инспекцией народного образования и вносятся на рассмотрение коллегии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


ბრძანება № 392 — ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მ. ვ. ლომონოსოვის დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ . . . 3

ბრძანება № 393 — სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობებისათვის რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მზადების შესახებ . . . . . . . . . . . . 7

გადაწყვეტილება — თერთმეტწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1-ლ კლასებში მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ . . . . 15

Решение — об итогах VI Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению VII Республиканской олимпиады . . . . . . . 24

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დათვალიერების შედეგებისა და მე-11 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . 29

გადაწყვეტილება — ნორჩ ფოლკლორისტთა კლუბის „ირმისას" მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ . . . . . . 34

გადაწყვეტილება — 1985—1986 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საბავშვო დაწესებულებათა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისა და გათბობის ქსელის მოწესრიგების შესახებ . . . . 40

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . 48

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიან სკოლა-ინტერნატებთან გახსნილი სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ცალკეული ჯგუფების პირველი გამოშვების შესახებ . . 59

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებში 1984 წელს კოლეგიაზე განსახილველი საკითხებისა და კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ . 64

Решение — об итогах проверки выполнения управлениями и отделами Минпроса ГССР вопросов, подлежающих рассмотрению на коллегии за 1984 год . . . . . . . . . . . . 65

დებულება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის შესახებ . . . . . . . . . . . . 66

Положение о коллегии Министерства просвещения Грузинской ССР 73